



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუზღავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუზღავ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუზღავ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კინცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „Квали“.


შინაპარსი: შავი-ქვის მრეწველთა კრება ნ. უორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალი“—ს კორესპონდენციები.—თფილისის ქართული თეატრი.—სადადეშკელიანო სვანეთის ამბები მეხა ფარელია.—ჩენი საკვირაო სკოლები ი. გ—სა.—ქართული თეატრი ქუთაისში S—II სა.—საპიგიენო განყოფილება: 1—ყვებრვება მკურნალი ს. ვაჭაძისა.—წერილები რედაქციის მიმართ.—„კვალის“ ფოსტა.—შეცდომის გასწორება და განცხადებები.

შავი-ქვის მრეწველთა კრება

შავი ქვის მრეწველთა წრევანდელმა კრებამ იმდენი ბრძოლა და შეჯახ-შემოჯახება ასტეხა მრეწველთა შორის, იმდენი ალიაქოთი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაშიაც, რომ, თუმცა კრება ერთი თვის წინეთ დასრულდა, მაგრამ მისზე სჯა-ბაასი ჯერაც არ დასრულებულა და უეჭველათ კიდევ დიდხანს არ დასრულდება. და მართლაც, ქართულმა მრეწველობამ, ქართველმა მრეწველებმა პირველათ ამ კრებით გვამცნო თავისი თავი, თავისი ძლიერება და გვამცნო დიდი რიხათ და მედიდურებით. მან ისე მედგრათ შემოღდა ფეხი, რომ მისმა ნაბიჯმა გამოაღვიძა ბევრი შიძინებული და აახმაურა ბევრი დადუმებული. პირველ ყოვლისა მან შეანძრია ჩვენი კოხტა ქუთაისი მისი ძირ-ბუღიანათ და ქუთათურნიც სწრაფათ დაპყრო ორ მოპირდაპირე ბანაკათ; ბრძოლა კრების ბანაკთა შორის ატენილი გადმოდიოდა კრების გარეთ და გძელდებოდა საზოგადოებაში. ამას ბანი

მისცა რუსულ-ქართულმა ჟურნალ-გაზეთობამ და ასე მრეწველობის სადავო საგანი გადაიქცა საერთო სადავო საგნათ. მართლია, ასეთი კრება მომხდარა წინეთაც (1896 და 1897 წ.), მაგრამ არასოდეს მას არ დატყობია ისეთი სიცოცხლე და გამწვავება, როგორც დაეტყო წელს. წინეთ შვიკრიბებოდა ორმოციოდე მრეწველი, ოთხ-ხუთ დღეს ყოველივე საქმეს გაათავებდენ და წყნარათ დაიშლებოდენ; მათს ვერც თავყრილობას ტყობილობდა ვინმე, თუარა დაინტერესებული, და ვერც დაშლას. წრევანდელი კრება სულ სხვა იყო. მას დაესწრო 150-დე მრეწველი, მიიქცია ჩვენი ქვეყნის ყურადღება და სხდომებმაც ორ კვირაზე მეტი გასტანა. ცხადია, ეს კრება თავისი სილიადით და საქმიანობით პირვილი კრებაა ჩვენ სამრეწველო ცხოვრებაში, და მისი გაგება და ახსნა მით უფრო საინტერესოა. მაშ გამოვარკვიოთ ჩვენც, რა იყო ეს კრება, რით გახდა ის საყურადღებო, რა მოგვიტანა და რა გააკეთა.

შავი ქვის მრეწველთა კრება არის უმაღლესათ დამტკიცებული დაწესებულება, რომელსაც



აქვს თავისი საკუთარი წესდება და თავისი აღმასრულებელი ორგანოები; მისი მთავარა ორგანოა საბჭო; საბჭო ირჩევა ოთხი წლის ვადით და განაგებს მრეწველთა საერთო საქმეებს. მისი მოვალეობაა დაიცვას თავისი ამრჩეველთა ინტერესი სხვა-და-სხვა დაწესებულების წინაშე, შეიმუშავოს კრების მიერ მინდობილი კითხვები, აღასრულოს კრების გადაწყვეტილებები, განაგოს კრების ქონება, დახარჯოს თანახმათ ხარჯთ-აღრიცხვისა და სხ. და სხ. ერთი სიტყვით გაუძღვეს მრეწველთა საზოგადო საქმეებს, როგორც შინ, სამრეწველო რაიონში, ისე გარეთ, მთავრობასთან და უცხოეთში. (იხ. „წესდება“, 23). თანახმათ ამისა, საბჭოს მოღვაწეობა განიყოფება ორათ: საშინაო და საგარეო. აშკარაა, კრება ერთიანათ საბჭოში მდგომარეობს; როგორც კრებაა ისეთი საბჭოა, ხოლო საბჭოს სულის ჩამდგმელი კი მისი თავმჯდომარეა. ის თავისი მოღვაწეობით პასუხის მკებელია კრების წინაშე და ამიტომ მას უდგენს ანგარიშს მოქმედებისას. და აი, სწორეთ ამ ანგარიშმა გამოიწვია წლებგანდელ კრებაზე იმდენი დავიდარბა და შეხეთქება. მაშასადამე ამ ბრძოლის გასაგებათ საჭიროა გავიგოთ საბჭოს მოქმედება, განვივალისწინოთ საბჭოს ღირსება და ნაკლულევალება და მერე ადვილათ გაიგება მის გარშემო დატრიალებული ბრძოლა.

საბჭოს მოღვაწეობა.

შავი-ქვის მწარმოებელთა პირველი საბჭო (შედგება 4 წევრისაგან) და მისი თავმჯდომარე ბ. გ. ზდანოვიჩი, არჩეულ იქმნა 1896 წ. მაშასადამე მას კრების საკეთილდღეოთ უმოღვაწნია სრული ოთხი წელიწადი. ამ მოღვაწეობის მთელი ანგარიში მოქცეულია ერთ წიგნში, რომელსაც ეწოდება: „ანგარიში საბჭოს მოქმედებისა“.1) წიგნი შეიცავს სულ ორას გვერდამდის, რომლიდანაც 188 გვერდი დათმობილი აქვს სხვა-და-სხვა შუამდგომლებს მთავრობის წინაშე, ხოლო 11 გვერდი საშინაო-სამეურნეო მოღვაწეობას. ე. ი. საბჭო თითქმის მთლათ ერთიანათ ქალაქდების შედგენაში და მთავრობასთან მიწერ-მოწერაში ყოფილა გართული. თავმჯდომარეს, ბ. ზდანოვიჩს, ამ საქმეში გამოუჩენია მთელი თავისი უნარი და მისი გაცნობა გავაცნობს ამ უნარსაც. თანხმათ 1896 და 1897 წ. კრების გადაწყვეტილებისა მას აღუძრავს მთავრობასთან სულ ხუთი კითხვა და დაუწერია 40-მდე შუამდგომლობა, ტელეგრამებს გარდა. პირველი

შუამდგომლობით ითხოვა (1896 წ.) ხაზინიდან საბჭოს გადმოეცეს ის ფული, რომელიც შედგენილი იყო ფუთ გატანილ შავ-ქვანე ნახევარი კაპიკის გადახდით, რაიცა დაკმაყოფილებულ იქმნა მხოლოთ 1898 წ. გასულს. ამით საბჭოს მიეცა ნივთიერი საშუალება კრების საქმეების წასამართავათ; მეორე შუამდგომლობა შეეხება დამტკიცებას იმ წესებისას, რომელიც კრებამ შეიმუშავა შესახებ ვაგონების და პლატფორმების განაწილებისა. ეს შუამდგომლობა ჯერაც არ არის დაკმაყოფილებული. განსაკუთრებით ბევრი მიწერ-მოწერა გამოუწვევია მესამე შუამდგომლობას, სახელდობრ—ქიათურის რკინის გზის მოძრაობის გაძლიერებას და საწყობების აშენებას. ამ მიწერ-მოწერას უჭირავს „ანგარიშის“ 91 გვერდი და დღემდის მხოლოთ შუამდგომლობის მცირე ნაწილია დაკმაყოფილებული. მეოთხე კითხვა შეიცავს მადნების ზედამხედველობას და სამადნო პოლიციის უკეთ მოწყობას და სამთამადნო სასწავლებლის დაარსებას ქუთაისის გუბერნიაში, რასაც მხოლოთ თითო თხოვნა დაჭირვებია. დაკმაყოფილებულია მხოლოთ პირველი თხოვნა. ძალიან ბევრი მიწერ-მოწერა და დავიდარბა გამოუვლია მესუთე კითხვას—კითხვას ქიათურის რკინის გზის ტარიფის შემცირების შესახებ. ეს შეიცავს 58 გვერდს წოგნისას და რადგანაც ყველაზე უფრო საჭირო და საყურადღებო შუამდგომლობა ეს იყო, ამისათვის ამას ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

ამ ნაირათ, საბჭო ოთხ წელიწადს მხოლოთ ამ ხუთი კითხვის გადაწყვეტაში ყოფილა ჩამული. როცა ყველა ამ ქალაქდებს კითხულობთ, თვალწინ გიდგებათ ის მრავალი დაბრკოლებები, რომელნიც ჩვენებურ წარმოებას გზას უღობავს და მათი თავიდან ასაცილებლათ ამდენ ძალას და შრომას თხოულობს. ამასთანავე გაგაკვირვებსთ საბჭოს მოღვაწეობა ამ გზანე, რომელიც უფრო კუს ნაბიჯს და ხშირათ წყალის ნაყვას მოგაგონებსთ, ვინემ სისტემატიურათ და საზრიანათ დაწყებულს. ჩვენ მივეჩვიეთ ჩვენი უუნარობა საქმეში გარეშე მარეზებს დავაბრალოთ, რა ვქნათ რომ არ გვანებებენო. ეს ერთობ ადვილი და სწრაფი თავის გასამართლებელი საბუთია. მაგრამ ამასთანავე ვიწყებთ იმას, რომ თუ არ გვანებებენ - ამის მიზეზი ხშირათ ჩვენ ვართ, ჩვენ არ შეგვიძლია საბუთიანათ და დალაგებით განვუმართოთ ჩვენი საბუთიარი სადაც ჯერ არს და ამიტომ აღარც პატრაცემაში გვლებულობენ. ამის ერთ მეტათ საარაკო და საკვირველ მაგალითს წარმოგვიდგენს შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოს შუამდგომლობა ტარიფის დაკლების შესახებ.

1) „Отчетъ о дѣятельности совѣта, избраннаго на 1 сѣздѣ марганце-промышленниковъ“. 1900 წ.



ქიათურის რკინის გზა გაიხსნა 1895 წ. და ფუთ შავი ქვისგადმოტანაზე სადგურ შორაპნამდის დაედვა 10 კ. ასეთი დიდი ტარიფი ასე პატარა მანძილზე (38 ვერსტი) პირველი მაგალითია მთელ იმპერიაში, და მგონი მთელ ქვეყანაზეც. რატომ მოიმოქმედა ეს რკინის გზის მთავრობამ? ცხადია არა შავი-ქვის მრეწველობის დასაუძღურებლათ, არამედ სულ სხვა მოსაზრებით. მან იფიქრა, ჩვენებურ შავ-ქვას ევროპაში მეტოქე არა ჰყავს, მაშასადამე შავი-ქვსი ევროპიელი მყიდველები იძულებული იქნებიან ათი კაპეიკი მეტი მისცენ ფუთ ჩვენებურ შავ-ქვაში და ასე ტარიფს გადაიხდის ევროპა და არა ქიათურაო. მაგ. ფუთი შავი-ქვა ფოთში იყიდება 20 კ. ამას მიემატება ათი კაპეიკი ტარიფი, მაშასადამე ფუთი გახდა 30 კაპ. რასაც მყიდველი გადაიხდის. პირველ შემთხვევაში მყიდველს ე. ი. ევროპიელ კაპიტალისტს ჯაბეში რჩება 10 კ. მეორეში კი ამ ათ კაპეიკს აძლევს რუსეთის ხაზინას ტარიფის სახით. აი მოსაზრება აქაური მთავრობის. მაშასადამე ვისაც ამ ტარიფის დაკლება სურს, მან პირველ ყოვლისა ეს მოსაზრება უნდა შეარყიოს, ეს უნდა დაარღვიოს და მერე მთავრობა თვით ეცდება ტარიფი დააკლოს. ასე უნდა ემოქმედნა საბჭოს თავმჯდომარეს და მიზანსაც მალე მიაღწევდა.


და მერე ასე იმოქმედა მან? არა, პირიქით, ბ. ზდანოვიჩმა პირველათ ერთიანათ მთავრობის მოსაზრება შეითვასა. ისიც იმ აზრის იყო, რომ ფასის აწვევა ევროპის ბაზარზე ჩვენი საქმეა, თუ ჩვენ ძვირათ მივაწვდით საქონელს იძულებული იქნებიან ძვირათ იყიდონო. ის ერთ თავის მოხსენებაში 1896 წლის კრების მიმართ ამბობს: „თუ ფასი (შავი ქვის) ადგილობრივით მაღალი იქნება, არა მარტო დროებით, როგორც ახლათ, არამედ მუდმივით, ამ შემთხვევაში ის ვერ იქნება დაბალი უცხოეთშიო²⁾“. ე. ი. ქიათურის მწარმოებელთ შეუძლიათ რანაირი ფასიც სურთ ისეთი დააწესონ ევროპის ბაზარზეო. ასეთია მოსაზრება სატარიფო კომიტეტის და ასეთი მოსაზრება წამოაყენა ბ. ზდანოვიჩმა. მაშ რატომ კლებულობს თანდათან შავი ქვის ფასი? ეს იმიტომ, ამბობს ბ. ზდანოვიჩი, რომ ჩვენი მწარმოებლები ერთმანეთს ეცილებიან, ერთმანეთის საქონელს ფასს, უკლებენ და ევროპიელი კაპიტალისტიც ყიდულობს იმისაგან, ვინც უფრო იაფათ იძ-

²⁾ „Если же цена на мѣсть производства будетъ высока не на время только, какъ теперь, а какъ постоянное, нормальное явление, то она не можетъ быть низка и за границей“. იხ. „Труды перваго и втораго съѣздовъ марганценпромышленниковъ“. გვ. 67.

ლევა. ეს რომ ასე არ მოხდეს, საქიროა ამ რის, ამ კონკურენციის მოსპობა და ერთისაერთო ფასის დადგენა. ეს შეიძლება მრეწველთა სინდიკატის შედგენით და თავისი კერძო საქონლის საერთოთ გაყიდვითო. აქედან დაიბადა ბ. ზდანოვიჩის ცნობილი პროექტი სინდიკატის შესახებ. ეს პროექტი მოიწონა მრეწველთა პირველმა კრებამ და დაავალა ავტორს მისი გაყენა მთავრობის წინაშე. თანახმათ ამისა, მან 3 ნოემბერს 1897 წ. ფინანსთა მინისტრს გაუგზავნა მეტათ საკვირველი შუამდგომლობა. ამ შუამდგომლობაში ის აღარ კმაყოფილდება მარტო ზემოთ მოყვანილი მოსაზრებით და მას უმატებს მეორესაც. ის ამბობს ფასის დაცემის მიზეზია არა მარტო შინაური კონკურენცია, არამედ ერთა შორისო კონკურენციაც. სხვა და-სხვა ქვეყნებს შავი ქვა ჩვენზე უფრო იაფათ გამოაქვთ გასაყიდათ და ამით გვეჯობნიანო. ამ მოსაზრებას რომ ბოლომდის შერჩენოდა ავტორი და საფუძვლიანათ დაესაბუთებია, სატარიფო კომიტეტის მოსაზრება დაირღვეოდა და ტარიფის დაკლება აუცილებელი იქნებოდა. მაგრამ სატარიფო კომიტეტის მოსაზრების დარღვევა მისი მოსაზრების დარღვევაც იქნებოდა, ვინაიდან ორივე ეს ერთნაირია და აი ბ. ზდანოვიჩი ჩავარდა გასაქირში. ის ხან ერთ მოსაზრებას აძლევს უპირატესობას და ხან მეორეს და ასე მთელი შუამდგომლობა ერთ ლოლიკურ ნახტომებს წარმოადგენს. ის თხოულობს დამტკიცებას სინდიკატის პროექტისას, მაგრამ მრეწველთა რომ ძალა დაატანოს სინდიკატში შესასვლელათ, უმატებს, ტარიფი დაუკლები მხოლოთ იმათთვის, ვინც სინდიკატის წევრი იქნებაო, ე. ი. სინდიკატისათვის იყოს 3 კ. ტარიფი, ხოლო სხვებისათვის კი ისევ ათი კაპეიკიო. არას შემთხვევაში ტარიფის დაკლება ყველა მწარმოებელთათვის არ მოხდესო, განაგრძობს ავტორი, და აი რატომ: „თუ დაკლებული ტარიფით ყველა გამტანმა ისარგებლა, მაშინ ბევრი მრეწველი აღარ მოინდომებს სინდიკატის წევრობას და სინდიკატიც მიზანს ვეღარ მიაღწევს. ამ შემთხვევაში ატყდება კონკურენცია სინდიკატს და თავისუფალ მრეწველთა შორის და შავი ქვის ფასიც დღევანდელზე უფრო დაიწვესო“³⁾.

აქედან ცხადია, ბ. ზდანოვიჩი საზოგადოთ ტარიფის დაკლებას კი არ ცდილობს, (პირიქით ამას მაინებლათაც აღიარებს), არამედ სინდიკატის დამტკიცებას და მისთვის საკუთარი ტარიფის შექმნას. ე. ი. ფასის დაწვევაში უპირატესობას შინაურ კონკურენციას

³⁾ „Отчетъ о дѣятельности совѣта“. 33. 134.



ანიკებს და არა უცხო ქვეყნების კონკურენციას. მაგრამ, ამასთანავე, ეჭვი შეაქვს, ეგების მთავრობამ ნება არ დართოს ასეთი მონოპოლიური სინდიკატის დაარსებაზე და ამბობს: თუ ტარიფს დაკლებას სინდიკატისათვის არ შეიწყნარებთ, იმ შემთხვევაში ტარიფი დარჩეს შეუცვლელათ, ხოლო სინდიკატს მიეცით პრემიათ 7 კაპ. გატანილ ფუთზე. და თუ აღარაფერი მოხერხდა სინდიკატის სასარგებლოთ, მაშინ ტარიფი „შაინც“ დაგვიკელითო!*) გამოდის, რომ ტარიფის შვადი კაპეით დაკლება „შაინც“ ყოფილა!

ამ გვართ, ბ. ზდანოვიჩის შუამდგომლობა აშენებულია ორ სხვა-და-სხვა მოსაზრებაზე, რომელნიც ერთმანერთს ებრძვიან და მით ერთმანეთს არღვევენ. ავტორი ხან ერთს აძლევს უპირატესობას, ხან მეორეს; განსაკუთრებით ის იცავს თავის სრულიად უკანონო პროექტს სინდიკატის შესახებ და ტარიფის კი ხვას მას უმორჩილებს. მაგრამ საბედნიეროთ, ბრძოლას ამ ორ მოსაზრებას შორის აბოლოგებს თვით სამინისტრო; როგორც ბ. ზდანოვიჩი ამბობს, „შუამდგომლობას სინდიკატის შესახებ ისეთი კატეგორიული გულ გრილობით (ка-тогорическое несочувствие) მიეგებენ ფინანსთა სამინისტროში, რომ მან საჭიროთ დაინახა სრულიად უარი ეთქვა ამ პროექტზე და ჩასქიდებოდა მხოლოდ ტარიფის საზოგადოთ შემცირებას. 5) აი აქედან ბ. ზდანოვიჩის სინდიკატი და მასთან ერთათ „შინაური კონკურენცია“ მისი თხოვნებიდან ქრება და ძალაუფლებურათ მარტოთ-მარტო ტარიფის დაკლება რჩება. ამით მას თვით მთავრობამ უჩვენა გზა მოქმედებისა. და აი, 21 მარტს 1898 წ. ის აძლევს თხოვნას რკინის გზათა დეპარტამენტის დირექტორს, სადაც „სინდიკატი“ სრულებით აღარ არის მოხსენებული. პირველ ყოვლისა ავტორი ბოდიშს იხდის იმის შესახებ, რომ ტარიფის დაკლების თაობაზე შავი-ქვის მრეწველთა კრებას სრული და საკმაო ცნობები ვერ წარმოუდგენიაო. 6) ეს საყვედური რასაკვირველია კრებას კი არ შეეხება, არამედ თვით საბჭოს, ვინაიდან საბჭოს აქვს მთავრობასთან მიწერ-მოწერა და არა კრებას. უსაყვედურა რა ასე ბ. ზდანოვიჩმა თავის-თავს, შემდეგ გადადის მუშათა ხელ-

ფასის დაცემაზე და ჩაღვადართა საერთო კიდურებზე, რის ერთათ-ერთი (исключительно) შავი-ქვის ფასის დაცემა მსოფლიო ბაზარზეო. რომ მუშის ქირის აწევ-დაწევის ერთათ ერთი მიზეზი საქონლის ფასის აწევ-და-დაწევა არ არის—ეს იცის არა თუ რკინის გზათა დეპარტამენტმა, არამედ ყველამ, ვისაც კი პოლიტიკური ეკონომიის ანბანი წაუკითხავს. ჩვენ ამ საგანს სხვა დროს დავუბრუნდებით, ახლა კი ვიტყვით შემდეგს: ამ თეორიის თანხმათ მუშის დღის ქირა კლებულობს იმდენათ, რამდენათ კლებულობს საქონლის ფასი. ე. ი. რამდენათ კლებულობს კაპიტალისტის შემოსავალი. ამას არღვევს თვით ბ. ზდანოვიჩის ციფრები, რომელიც მოყვანილია ამავე ქალაქში. მუშა კუბიკური საყენი ქვის ამოღებისათვის 1892 წ. იღებდა 40—45 მ. ხოლო 1897 წ. 15—17 მ. ე. ი. მოიკლო 65 პროცენტამდი. (იხ. 147 გვ.) იმავე დროს შავი ქვის ფასები ინგლისში დაიწია ასე: 1892 წ. ტონი ღირდა 62⁹/₁₂ შილინგი, ხოლო 1898 წ. 35—36 შილინგი ე. ი. მოიკლო 47 პროცენტამდის. (იხ. გვ. 156—157). აქედან ცხადია, მუშის ქირა გაცილებით უფრო დაბლა დაწეულა, ვინემ საქონლის ფასი და მაშასადამე პირველის ერთათ ერთი მიზეზი ვერ იქნება უკანასკნელი. პარ იქით, 1892 წ. 1891 წელთან შედარებით შავი ქვის ფასი დაიწია, ხოლო მუშის ქირა კი აიწია 7). აი როგორ არღვევს ბ. ზდანოვიჩი თავისსავე ნათქვამს!

ეს კიდევ ცოტაა. ბ. ზდანოვიჩი ამავე ქალაქის ერთ ალაგას ამბობს, რომ შავი ქვის გაზიდვა საზღვარ-გარეთ თანდათან ძლიერდება (გვ. 14⁶), ხოლო ცოტა ქვევით (იმავე გვერდზე) ვკითხულობთ „Мы замечаем уменьшение нашего отпуска за границу“ -ო. და ამის დასამტკიცებლათ მოჰყავს ციფრები, საიდანაც ჩანს რომ 1896 წ. შედარებით წინა წელთან თითქმის ათი ათასი ტონი (620 ათასი ფუთი) ნაკლები ქვა გაუტანიათ ჩვენი ქვეყნიდან ინგლისში. აი ეს ციფრები: 1895 წ. გაუტანიათ 65,474 ტონი. 1896 წ. კი 55,697 ტონი. შემცირება აშკარაა, მაშასადამე კრიზისიც აშკარაა. მართალია მერე ეს? ამ ციფრების შესამოწმებლათ გადავშალოთ იმავე საბჭოს მიერ გამოცემული „Статистика марганцевого дѣла“-ს (1900 წ. ქუთაისი) მე-14 გვერდი, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: ქიათურის შავი ქვა ინგლისში გაუტანიათ 1895 წ. 3,796,270 ფუთი, 1896 წ. 4.715,355 ფ. მომატება აშკარაა. ახლა ერთი

4) „Если основаніе синдиката съ предоставленіемъ послѣднему какого либо преимущества передъ отдѣльными промышленниками въ перевозкѣ руды по желѣзной дорогѣ будетъ признано не возможнымъ, то (прошу) о пониженіи, по крайней мѣрѣ марганцеваго тарифа Чіатурской вѣтви въ указанномъ выше размѣрѣ“... (ib.)
 5) ib. გვ. 186.
 6) ib. გვ. 139.

7) 1891 წ. ტონი შავი-ქვა ფასობდა ინგლისში 64⁶/₁₂ შილინგი, 1892 წ. კი 62⁹/₁₂ მ. იმავე დროს მუშის ქირა იყო (კუბიკურ საყენზე) 38—40 მ., ხოლო 1892 წ. 40—45 მან. ib.

ვიკითხოთ: ამ ორში რომელია მართალი? ის, რომელიც მთავრობის თხოვნაშია მოყვანილი თუ ის, რომელიც სტატისტიკურ გამოკვლევაშია ანუ-სხული? ამას უეჭველია თვითონ საბჭო გაარკვევს.

ერთი სიტყვით, შუამდგომლობის ქალაქები საბჭოსი საგნა ასეთი ლოლიკური ნახტომებით, ფაქტიური შეცდომებით და ყალბი მოსაზრებებით. ჩვენ აქ ადგილი არა გვაქვს ყველა ეს ჩამოვთვალოთ. მოვიხსენიებთ მხოლოდ კიდევ ერთ მაგალითს. მთავრობის დასარწმუნებლათ იმაში, რომ ჭიათურაში აუტანელი კრიზისია და ტარიფის შემცირება აუცილებელია, საბჭოს ერთ თხოვნაში (მიცემული 30 აპრილს 1898 წ.). გძელი ანგარიშია მოყვანილი, საიდანაც ჩანს შემდეგი: მსოფლიო ბაზარის მაზანდა დღეს ფუთ შავ ქვაზე ფოთში იძლევა არა უმეტეს 15 1/2—16 კაპ. ხოლო გამტანთ ანუ ექსპორტერებს ის უჯდებათ 23 1/2 კ. მაშასადამე ყოველ ფუთზე ისინი აგებენ 7 1/2—8 კაპეიკსო! და მიუხედავად ასეთი ზარალისა, ამავე წელს 15 მილიონამდე ფუთი ქვა გაუტანიათ საზღვარ-გარეთ ე. ი. უზარალიათ ერთი მილიონ, ორას ათასზე მეტი მანეთი! აბა ასეთი გადაჭარბებით, ასეთი შეუძლებელი ამბით, ერთი მითხარით, რომელ მთავრობას დააჯერებ? ან სადმე მომხდარა, რომ კაპიტალისტები ასე აგებდნ და ისინი მაინც წარმოებას არ აჩერებდნ? გარდა ამისა, საბჭოს ქალაქი თხოულობს, რადგანაც ფუთზე 7—8 კ. წაგება, ამიტომ ტარიფს უნდა დააკლდეს 7 კაპ. რომ კაპიტალისტებმა არ წააგონო. ე. ი. ტარიფის დაკლება ვერას მოაგებინებს მრეწველთ, ისინი მხოლოდ თვენზე გამოვლენო!

აი როგორი დაუჯერებელი ამბებით არის სავსე საბჭოს სხვა-და-სხვა შუამდგომლობა და განაგასაკვირველი იქნებოდა, რომ მთავრობას მისთვის ყურადღება არ მიექცია! და ასეც იყო, სატარიფო კომიტეტი არ ენდო საბჭოს ცნობებს, რომელიც მოყვანილი იყო 21 მარტის თხოვნაში და 27 მარტს (1898 წ.) დაადგინა „გადაიდვას ამ კითხვის განხილვა შესაფერი ცნობების მიღებამდისო“ (იხ. გვ. 171); ასეთი ბედი ხვდა 30 აპრილის თხოვნას, სატარიფო კომიტეტი არც ამ შეუსაბამო გამოანგარიშებს ენდო და დაადგინა: შუამდგომლობაზე უარი ეთქვას, ხოლო თხოვნაში მოხსენებული ციფრები შემოწმდეს საზღვარ-გარეთ ოფიციალური გზითო. (იხ. 164) და აი, ამ გაკირვებულა მდგომარეობიდან საბჭო გამოიხსნა „ბედნიერმა შემთხვევამ“. საბჭოს თხოვნას მფარველობა გაუწია მისმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლო-

ოზის ძემ და ფინანსთა მინისტრს რესკრიპტი, მისწერა ტარიფის დაკლების შესახებ. (იხ. გვ. 182). და ის იყო 16 დეკემბერს 1898 წ. ტარიფს მოაკლეს მხოლოდ 3 კაპ.

ცხადია, ეს პატარა დაკლებაც გამოიწვია დიდი მთავარის გულ-კეთილობამ და არა საბჭოს ქალაქების საბუთიანობამ. ეს ქალაქები გვასწავის მხოლოდ იმას, თუ როგორ არ უნდა თხოვნების წერა უმაღლეს მთავრობასთან...

ასეთია საბჭოს ოთხი წლის მოღვაწეობა.⁸⁾
6. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბები

ქართული თეატრის დასი უკვე შედგა და რეპეტიციები დაიწყო კიდევ. პირველი წარმოდგენა 12 ოქტომბერს გაიმართება; ითამაშებენ „ვაი ქუთისაგან“ ნათარგ. ქ. განდევგილისაგან.

კავკასიის რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლა შეცვლილ იქნება 15 ოქტომბრიდან.

გაზეთ „Сынъ Отеч.“-ს გამოცემის უფლება ერთ პეტერბურგელ ფულიან კაცს შეუძენია და მომავალ წელს 1-ლ იანვრიდან ხელ ახლათ გამოვა.

ფოთის ქალაქის თვითმართველობას გადაუწყვეტია გააუმჯობესოს ნავთ-სადგურისაკენ მიმავალი გზები და შეაკეთოს აგრეთვე მდ. რიონზე არსებული ხიდები. სულ ამ საქმეს დაჭირდება 251,510 მ. 76 კ. გარდა ამისა ყოველ წლივ დაჭირდება გზებს და ქუჩებს 21,304 მ. ყველა ეს ხარჯი ქალაქს სურს დაჰფაროს ნავთ-სადგურიდან გატანილ საქონელზე არსებულ გადასახადიდან.

როგორც ოფიციალურ ცნობებიდან ჩანს, საქონლის ჭირი ამ ჟამათ თფილისის გუბერნიის 29 სოფელშია თურმე გავრცელებული.

პარიჟში ფრანგულ ენაზე დაუბეჭდიათ ახალი წიგნი ამ სათაურით: „Finlande et Caucase“— ფინლანდია და კავკასია— თხ. პიერ მორანის. წიგნი შეიცავს 286 გვერდს, რომლის სამი მეოთხედი კავკასიის უჭირავს. ავტორი, როგორც ჩანს, დიდ ხანს ყოფილა ჩვენში, გაუცენია აქაური ცხოვრება და ყველა ეს აუწერია. ის ასწერს სოხუმს,

⁸⁾ რაც შეეხება საშინაო-სამეურნეო მოღვაწეობას— ეს ერთობ მცირეა, რაც იმიტ უნდა აიხსნას, რომ მატერიალური საშუალება მხოლოდ 1898 წლის გახულს მიეცა. შეუკეთებიათ მხოლოდ გზები, რაც სულ 53 ათასი მ. დამჯარადა სამიოდე წვრილი ხარჯები გაუწვიათ.

თფილისს, განჯას და ბაქოს. მერე მოდის ორი წერილი სომხების და ქართველების შესახებ. ჩვენ შესახებ ბევრ მწარე ქვემარტებას ამბობს, ხოლო ბევრს გადაქარბებულს და უსამართლოთ. მას ქართველობაში დაუნახავს მხოლოდ ის, რაც კაი ხანია იშლება და ამიტომ ისიც გაიძახის ქართველობა ირღვევაო. მას რომ ახალი ცხოვრებაც დაენახა — მაშინ ასეთ შემცდარ აზრს აღარ წარმოთქვამდა. გარდა ამისა ის ქართველს უწოდებს მხოლოდ ქართლელს და კახელს, უნახავს კახეთის სოფელი და ამით სურს წარმოდგენა შეადგინოს მთელ საქართველოზე. დასავლეთ საქართველოს სრულებით არ იხსენიებს, ეტყობა იქ არ ყოფილა. გაუცვნია მხოლოდ მეგრელები სოხუმში და მათ დიდთ აქებს. ვაჭრობაში და სამოქალაქო ცხოვრებაში მეგრელებს სომხებს უყენებს გვერდით და ამბობს: კავკასიის ქალაქები ამ ორი ხალხის ხელშიაო. მხოლოდ მეგრელებს ქართველებათ არ თვლის. საზოგადოთ, წიგნი საინტერესოთ არის შედგენილი და ხალისიანათაც იკითხება.

„გელიოსი“-ს საზოგადოების წარმომადგენელს ქალაქის სამართველომ ათი დღე ვადა მისცა, რათა მან წარმოდგინოს ვეჭილობა ხსენებული საზოგადოებისა იმისთვის, რომ შესაძლო იქნეს ქალაქი შეეკრას პირობით ელექტრონით განათების შესახებ.

13 და 14 ოქტომბერს დანიშნულია მისაღები ეგზამენები თფილისის საბალონო სასწავლებელში.

თფილისში ჩამოვიდა სამიწათ-მოქმედო სამინისტროს მოხელე დ. ა. ტიმირიაზევი, რომელიც გამოგზავნილია კავკასიაში ბოტანიკურ გამოკვლევათა მოსახდენათ.

26 ამ თვეს გაუხსნიათ ბათომში ქალების გიმნაზია.

26 ენკენისთვის რკინის გზის ტექნიკურ სასწავლებელში მოხდა წლიური აქტი. სასწავლებლის ანგარიშიდან ჩანს, რომ წარსულ წელს დაუსრულებია 19 შეგირდს და უადგილობის გამო ბევრი მსურველი მიუღებელი რჩება, ამის გამო სკოლის ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რათა გახსნილ იქმნას პარალელური განყოფილება.

თფილისში ჩამოვიდა ადგილ-მამულების გამიჯვნის საქმეების რევიზორი ბელენკოვი.

ქ. ოზურგეთის თვით მართველობის შუამდგომლობაზე ოზურგეთიდან სად. ნატანებამდე რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ გზათა სამინისტროს

ის პასუხი მიუცია, რომ პრინციპიალურათ წინააღმდეგი არ არის ამ გზის გაყვანისა, მაგრამ შეუძლებლათ და უხერხულათ ცნობს იმ პირობით მისცეს ქალაქს უფლება გზის გაყვანისა. ხოლო თუ კერძო კაცები თითონ მიმართავენ სამინისტროს და ქალაქის თვით-მართველობა არ იქნება შიგ ჩარეული, მაშინ კი ნებას დართავს სამინისტრო.


კახეთიდან წერენ „ცნ. ფურც“: „წაკიდეს ეს ზაფხული და აღარ მოვიდეს ამისთანა!..“ ამის თქმა-და დაჩქარება კახელ გლეხებს. დგინო, ეს ერთათ-ერთი იმედი და ნუგეში გლეხებისა, რომელიც შეადგენს უმთავრეს წყაროს მის ცხოვრებაში, ანამც თუ ხაკლებათ მოვიდა, ანამცდ ზოგმა გოდარი ვერც კი შეიტანა ვენახში. კახეთში ამ უამათ იშვიათია ისეთი მარანი, საიდანაც კვლავინდებურათ ქვევრების რეცხვა, გოდრების წვევა, სიმღერით ურძის წურვა, ტკბილის ქვევრებში ჩხრიალი და ქვევრიდან მაჭრის ჩუხჩუხი ისმოდეს. ამისათვის წელს ძალიან დაძვირდა დგინო, ჯერ შოგნა არ არის და თუ სადმე იქნება, მასაც 130—150 მან. ხაკლებ არ აძლევენ. მაგრამ რა?! გან კახელი კაცი ამით გაიტყვავდა გულს, რომ მას არ დაწთობდა სხვა უბედურება!

ეს უბედურება განსაკუთრებით სსქანლის ჭირი, რომელიც მძვინვარებს კახეთის ზოგიერთ სოფლებში და უფრო კი ურათაუბანში, შაშინში, კალაურში, ვახანძიანში და კარაჯალაში, ამ სსქანლის ჭირმა არ გაუშვა ისეთი ოჯახი, რომელსაც თავისი დადი არ დასსვა“.

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: „ველურობა და განათლება, ანუ ადამიანთა ცხოვრება-განვითარება“ შ. ლეტურნოს „სოციოლოგია“-დან გადმოკეთებული სევ. ჯულელის მიერ, გამოც. ძმ. იმედაშვილებისა. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ჩვენში კარგა ხანია, რაც ახალი მკითხველი გაჩნდა, მკითხველი, რომელიც არ კმაყოფილდება პატრიოტული მოთხრობა შაირებით და უფრო სხვანაირ გონების საზრდოს თხოულობს. და აი სწორეთ ამ გვარ მკითხველთათვის მეტათ გამოსადეგი და ძვირფასია ეს წიგნი. მისი შინაარსი ამოღებულია საფრანგეთის ცნობილ ანტროპოლოგ შარლ ლეტურნოს „სოციოლოგიიდან“. წიგნი ძალიან საინტერესოა და ადვილი გასაკვი ენით დაწერილი. წიგნი მოთავსებულია 18 სურათი, შეიცავს 120 გვერდს და ღირს 30 კაპ.

„კეკლის“ კორესპონდენციები

ს. აკეთა (ოზურგ. მაზრა). აკეთის საზოგადებას შეადგენს ხუთი მატარ-მატარა სოფელი, სასკელდობ: ზემო და ქვემო აკეთი, ვანი, ზომლეთი და ჭანჭათი. არა მგონია, რომ კიდევ სხვა მოიძებნებოდეს ჩვენ არე-მარეზე ასეთი უზომ-უკვლო და ეკონომიურათ დაქვეითებული კუთხე, რაც არც ჭანჭათია. მართალია, უხაკდულა და შესანიშნავი არც სხვა მეზობელი სოფლებია, მარა ჭანჭათის მათთან შედარება-კი ყოფილად შეუძლებელია. ჭანჭათი შედგება არა უმეტეს 120—130 კომლ მცხოვრებისაგან, ამათში 25—30 მოსახლე ეკუთვნის სასულიერო



წოდებას, დანარჩენები კი სულ გადაშენებული გლეხები. იცით მკითხველო, რა სუნი უდის სიტყვა „გადამხელს“? დამერწმუნეთ, რომ თუ არ გამოგიცდიათ მუდმივი გადახედლობა; ისე ძნელი წარმოსადგენია სავსებით მისი მნიშვნელობა, საზოგადოთ ყოველგან და კერძოთ ჭანჭათში, რადგან აქ ყველაფერი ხელს უშლის მის სისრულეში მოყვანას. ავიღოთ მეურნეობა: აქ შესაკუთრე გლეხს უფრო მეტათ შეძლებულს ექნება 5—7 ქვევამდე სახნავ-სათესი მიწა, ხოლო უმეტესობას-კი 1—3 ქვევამდე, ისიც მცირე და მთა გორიანი, სადაც ხაროთ მუშაობა შეუძლებელია, თუ არ აქა-იქ. მთელი წლის საჩხო ჩვენებურმა გლეხმა ადამის დროსეული თხით უნდა ჩამოიხინოს, კიდევ კარგი თუ ბედმა გაუღიმა და ხშირმა გვაფლავ ან გამოუღებულმა წვიმამ არ ააღებია ხელი მის ნაკვდავ-ნაყოფარსე, რაც აქ ხშირია.

ამ გვარსავე ზირობებშია აქ სხვა აუცილებელი საჭირო მასალების შექმნა, როგორც არის მაგ. სახლის საშენი ფიცარი, წიხელი და სარი თუ შეშის მოტანა რაც იშუალებული არიან საშუალო ზომით 2—3 ვერსტის საშორიდან მოიტანონ, ისიც სახელმწიფო ტყიდან. — ამასთანავე აქ ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ხსენებული მასალები და წლიური საჩხო უნდა გამოიტანონ ისეთი მიუდგომელი მთა-გორიდან, ისიც თავის ზურგის შემწეობით უზოტობისა გამო, რომ ერთი ფეხის მოცდებს და ცოლ-შვილის გამოშვიდობება ადვილი შესაძლებელია. მართალია, გვაქვს ნიკოპოლის და ჭანჭათის შემავრთველი გზა, რომლის ისტორია არა ერთხელ ეთიფილა გაზეთის ფურცლებზე აღწერილი, მარა საუბედროთ ის ისევ იმ ყოფაშია, როგორც წინეთ; ისევ ისე თხოულობს გაუმჯობესობას, როგორც წინეთ თხოულობდა. ამასთან ეს გზა ეახებს და ტყეს იშვითათ უდგება (ტყეს იმიტომ, რომ ახლო-მანლო მოილია უკვე ხეები).

აქ გვაქვს აგრეთვე ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა ბიბლიოთეკა-სამკითხველოთი (აკეთში), მხოლოდ ჩვენზე საკმაოთ მომარტებულია და ჩვენისთანაები ხომ კიდევ ბევრი განლაგათ; მარა ყოველი კაცის ეზოში შეუძლებელია სკოლა-სამკითხველოს ქონება. ამიტომ, ჩვენც უნდა შეუერთდეთ ჩვენ ხედავს. გვაქვს ჭანჭათლებს ერთი ეკლესია სამრევლო სკოლითურთ.

აქაური.

ქიზიყი. არა ერთხელ ეთიფილა გაზეთებში, რომ ბოქაული თ. ერისთავი მადლობის დირსია ამა და ამ კეთილ საქმისთვის. ჭეშმარიტათ ნამდვილიც არის. ბოქაული ერისთავის ბოქაულათ დანიშნას შემდეგ ქვემო-მანხანის საბოქაულოს ელფერი დაელო, გამოდგობა-წინ-მსფლლობა დაეტყო. ეს კარგეობა იმით აიხსნება, რომ საზოგადოთ ქიზიყში (ქვემო მანხანის საბოქაულო) მცირე სასწავლებლები იყო, მაგრამ ერისთავის მეცადინეობა, რჩევა-დარბებით მრავალი სასწავლე-

ბლები დაარსდა. მაგალითათ: ახაგში, ჭუკასში, ბანში, ოზანში, არბოში, მირზანში, ზემო-მანხანაში და ქვემო-მანხანაში. მისივე თაოსნობით დაარსდა სასოფლო ქსენი ქვემო-მანხანა-ახაგში. ამენდა ქვიტკირის შენიერი თეატრის დარბაზი. ამენდა ვეფლას საზოგადოებაში კანცელარიები, გაკეთდა გზები, აილაგენ სოფლის ელახები და ისე ვეფლას ნაფარდობენ, როგორც ოდესმე ნაფარდობდენ.

გათავდა კალოობა. მოსავალი გვარინათ მოვიდა, თუმცა წვიმიანმა ამინდებმა ლეწვის დროს ხელი შეუშალეს. დაბრუნდა ხალხი კალოობიდან (საზოგადოთ ქიზიყში კალოები მოშორებოთათა), იხინა თავი ციებ-ცხელებამ და აურებელი ხალხი მოაწედა ქვემო-მანხანის ქსენს. დღეში 100—120 ავთიმოფი იშინჯება და ეძლევათ წამლები. მადლობის დირსია ახლგაზდა ვქიში ა. დიასამიქ, რომელიც არ ზოგავს თავის ძალ-ღონეს, ენერჯის და ემყოფილს ისტუმრებს ზღვასავით მომდგარ ხალხს. აგრეთვე მადლობის დირსნი არიან ახლათ დანიშნული ბებია ზ. ნაცვლიშვილი, რომელმაც რამდენიმე მობობარე გადაარჩინა განსაცდელს და ფერშალი ან. გალაგუზოვი დაუდალავი შრომისათვის.

ვენახები დაიკრიფა, მაგრამ ვაი ამ დაკრეფას. ვისაც წარსულ წელს ხუთი სახალხე მოჰყოლია — წელს ხუთ ჩაფს ვერ გამოჩნა, ისე გააცხრა ობმა და ნაცანმა. მკითხველი იტყვის: „უწამლებდენ და ბევრს გამოჩნებოდა მუგენახე“. უბედურებაც ისაა, რომ ვერ უწამეს. უწამელობის მიზეზი იყო უამინდობა და ერთი ცრუ-შენტელას ჩაგონება. ცრუ-შენტელამ ჩაგონა ხალხს, რომ წელს ვაზის ავთიმოფობა აღარ არის და წამლობაც არ არის საჭირო. ხალხმაც მისი რჩევა-დარბება მიიღო და მისი წყალობით ცარიელები დარჩენ. ცრუ-შენტელას საფანელი შემოაკლდა, თვითონ ვერ უწამდა და სხვაც ზარალში შეიყვანა და ამით მოგვაგონა მეფას ანდაზა: „მელამ მისეში კუდი მოიწვიტა და სხეებსაც ურჩია: კუდები გამოძიებოთ, თქვენც დაიწვიტეთ“. ეს-დაა საღამარავო ხალხში.

თამაშაქობის კრეფაც გათავდა. წლეგანდელი თამაშაქო წარსულ წლებთან შედარებით უკეთესი დირსებოდა. მაგრამ ჩვენდა საუბედროთ, როგორც წარსულ წლებში, წელსაც ჩალის ფასათ ჩუგარდება ჩარჩ-ვაჭრებს ხელში, თუ მეთამაშაქეთ არა იზრუნეს-რა. მათი ზრუნვა, ჩემი აზრით, ის ექნება, რომ მეთამაშაქეთა ამხანაგობა შედგეს და ზირდაზირ ამხანაგობამ აძლიოს დიდ-მოფაჭრებს. 1899 წელს იყო მეთამაშაქეთა კრება, კრებამ კარდაწვიტა შედგეს ამხანაგობა, მაგრამ კარდაწვიტა იღებდა დარჩა ხმათ-მადლადებელისა უდაზნოს შინა. ესეც ერთი უბრალო მიზეზის გამო. ამ საქმეში ჩაერთენ ზოგიერთი ზირები, რომელთაც ნდობა დაკარგული აქვთ საზოგადოებაში. ამის გამო ვეფლას გულ-ცივათ მოეკიდა ამ კეთილ საქმეს.

წინამხრელი.

თფილისის ქართული თეატრი.

თფილისის ქართული თეატრის სეზონი დაიწყო 12 ოქტომბრიდან. მოსალოდნელია რომ ეს სეზონი გაცილებით უფრო მეტ სიამოვნებას და სარგებლობას მოუტანს ქართველ საზოგადოებას, ვინემ წინანდელი სეზონები. პირველ ყოვლისა, თეატრის შენობა შეკეთებულია-შეღამაზებულია. ასაკალი კარები აქვს გაკეთებული უზღდან. ეს შენობა ჩინებული და მისასვლელათ მართულია, განსაკუთრებით ძვირფას ტანისამოსიანი მანდილოსნებისათვის, არავის არაფერი გაესვრება და არაფერი დაეხვევა. მარტო ამ ასაკალის გაკეთება დაჯდა შვიდი ათას რ. კიბიდან პირდაპირ კანიდორში აღიხართ, კანიდორის კედლები და ოცაკი განახლებულია, ახლათ შეღებილია კულისები, ლოყები და სხ. განზრახვა აქვთ მარტოში ჩაღის სკამების მაგიერ სავარდლები დადგან. ერთი სიტყვით, ქართული თეატრი ახლა სრულყოფილ სხვახარათ გამოიყურება და თეატრის მოყვარულს გულს იძვლით უვსებს. უფველგან სიწმინდე, უფველგან წესი და რიგი—აი რით უხელმძღვანელია დრამატ. საზოგ. გამკეობას, თეატრის შენობის მოხატვადრეს, ამ საქმეში, და, იმედია ამ ხელმძღვანელობას ბოლომდის გაწვეს. ამას გარდა, გამკეობას გადაუწყვეტია, პირდაპირი ლოყების უკანა ადგილები, რასაც ამფითეატრი ეწოდებოდა და სდაც ხშირათ აურ-ზაური და უსიამოვნება ხდებოდა, სრულიად მოშალეს, სამაგიერათ ან ლოყები გაათართფოს, ისე, რომ თითოში რვა ადგილი იყოს, ან და ლოყებიც აიღოს და ერთი დიდი ამფითეატრი გამართოს სწორეთ ისეთი როგორც სსსსინო თეატრშია. არ გაიუიღებს აგრეთვე დასადგომი ბილეთები, როგორც ეს წინეთ ხდებოდა ხელმე. ვისაც ბილეთი სურს—დროზე უნდა იზრუნოს, თვარა თეატრის გარეთ დაჩხება. გადაკეთებულია ელექტრონის განათება, იხატება ახალი დეკორაციები და სხ, და სხ. რაც შეეხება რეპერტუარს—ის ერთიანათ ახალი პიესებისგან შედგება. ზოგი ხათარგმნი და ზოგი ორიგინალურისგან. ტრუზში მოწვეულია ეველა ჩეხი ცნობილი არტისტები, ხოლო საგასტროლოთ ჩამოვლენ ქალ. ეფ. მესხი და ბატ. მესხიშვილი. გარდა ამისა, წელს გამოსადგელ წარმოდგენებზე გამოიწადენ რამდენიმე ახალი არტისტები, რომლებიდან რამდენიმემ ნიჭი გამოიჩინა. პირველათ დაიდგმება „ვაი ჭკუისაგან“, კომ. გრიბოედოვისა, თარგმანი ლექსათ ქალ. განდუგილისა; მეორეთ „დენიზა“, დრამა თარგ. ფრანკულიდან; მესამეთ „ანინარი“, დრამა ჩეხი ცნობრებიდან და სხ.

ქართული დრამატული საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება დახიშნულია 15 ოქტომბერს. განსახილველი საგნებია: 1) საზოგადოების გასული წლის ანგარიში და მომავალი წლის ხარჯთ-ადრინცვა, 2) მოხსენება გამკეობისა თეატრის შენობის იჯარით ადების შე-

სახეზე; 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა; არჩევან სა-რევიზიო კომისიის და საზოგადოების ახალ წევრთა არჩევანზე. წელს საპრემიოთ ათამდე პიესა იქმნა წარმოდგენილი გამკეობაში, გამკეობამ მოწვეული პირების (ყოფრი) თანდასწრებით განიხილა ეველა, მაგრამ პრემიის დირსი სამწუხაროთ, არც ერთი არ აღმოჩენილა.

სადაღიშკელიანო სვანეთის ამცები

სადაღიშკელიანო სვანეთი შეადგენს ზემო სვანეთის დასავლეთ ნაწილს, გამკეობაში მდ. ენგურის ნაპირზე და ამ უამათ შედგება მხოლოთ სამი სოფლისაგან: ეტერისა, ცხმარისა და ბეხოსაგან. ცხოვრების უმთავრეს წყაროს შეადგენს ხვნა-თესვა; მიწა აქ თავისი ნიადაგით განთქმულია მთელ სვანეთში, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მკვიდრთა უმრავლესობა ცდის უკიდურეს სიღარიბეს და უმწკერავლეს წერტილამდის მიღწეულ შევიწროებას და გაჭირვებას.

რამი მდგომარეობდა სვანეთში ბატონ-ყმობა მე-70-ე წლებამდის, ესე იგი ბატონ-ყმობის გაყრამდის? თვით თ. დაღიშკელიანებისა და მომსწრე სვანების სიტყვით უფველი გლეხი ვაღდებული იყო მიერთმია ბატონისთვის ორი წლის განმავლობაში მხოლოთ ერთი ძროხა; აი რამი გამოიხატებოდა მთელი ქანებრივი სამსახური გლეხისა ბატონისადმი. მიწის მიფლობელობა ბატონთა და გლეხებს შორის განსაზღვრული იყო. გლეხს თავისი საკუთარი მიწა, ტყე და საბაღასო ჰქონდა. რომელსაც ის როგორც საკუთრებას ისე ეპერობოდა: გაჭვიდა, გაახუქებდა და სხ. 1) არავითარ დაღას გარდა ზემოთ მოხსენებულისა არ იხდიდა გლეხი არც მიწისა, არც ტყისა და არც საბაღასისას. ხოლო რაიცა შეეხება პირფონებით სამსახურს ბატონისადმი, უნდა შეგნიშნოთ, რომ დაკანონებული და აუცილებელი არ ეოფილა ის გლეხისათვის. მართალია გლეხების შრომით სარგებლობდენ ბატონები, მაგრამ ამას უფრო გლეხებს და მებატონეს შუა კერძო განწყობილებებისა და ურთიერთობის ხასიათი ჰქონდა, ვინემ ვაღდებულებისა. 2) გლეხის პირფონებით დამოკიდებულებაში ბატონისადმი განსაზღვრულ დაკანონებული იყო ეგრეთ წოდებული „საქარიფო“. ქარივის გათხრების ნება ჰქონდა მხოლოთ ბატონს და ანდუვინებდა საქმროს, როგორც ამობუნ, ორას მანეთამდის, რასაკვირველია, არა იფულათ. აი უმთავრესი შინაარსი ბატონ-ყმური წობილებებისა სადაღიშკელიანო სვანეთში. ამ ვარათ,

1) არა ვვეონია, რომ ეს მართალი იყოს: საბატონო გლეხს ბატონ-ყმობის დროს არსად და არასოდეს უფრავი ქონების გაჩუქების და მით უმეტეს გაყიდვის უფლება არა ჰქონებოდა.
2) ჩვენ ამაშიაც ეჭვი შეგვაქვს. და თუ მართლა ეს ასე იყო, იმ შემთხვევაში სადაღიშკელიანო სვანეთში სულ სხვა ნაირი ფორმა ყოფილა ბატონ-ყმობისა რედ.



როგორც მეთხველი ხედავს, ბატონ-უმბას სვანეთში თითქმის არავითარი მზგავსება არაა ქჭონის ასეთსავე წყობილებასთან საქართველოს სხვა კუთხეებში. ეს აგრე იყო შესამოცდა-ათე წლებამდის; მაგრამ ამ დროიდან ჩანს უკუღმა დატრიალდა; გლეხის ნივთიერი და სოციალური მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა. 1870 წელს კომისიამ, რომელიც შედგებოდა მომრიგებელ შუამავალთაგან მშინდელი გუბერნატორის მინდობილობით და გვგვით შემდეგი სსხით განაწესრიგა მიწის მფლობელობა სადადეშკელების სვანეთში: თვითივე კომლ გლეხს მიეზომასა უკუენო სამფლობელო-საკუთრებათ ხუთი ქტევა მიწა, ამში შედის სამოსახლოც, სახნავ სათესიც და სათიბიც. ხოლო საბაღანო, ტყე, წყალი და გადანარჩენი სახნავ-სათესი მიწა, რომელიც სივრცით უდრის მთელი გლეხობისადმი მიზომილ სახნავ-მიწას, ცნობილ იქნა მეპატონეს სრულ საკუთრებათ. მართალია აქ არ ქჭონის ადგილი ეგრეთ წოდებულ „დროებით ვაღდებულებას“ მაგრამ, სამაგიეროთ გლეხის უძრავი საკუთრება ისეთ ვიწრო ფარგალში მოქმევედა, რომ მას არა თუ დროებითი ვაღდებულების, არამედ საუკუნო ვაღდებულების ბეჭედი დაესვა და ნამდვილი ბატონ-უმური მძიმე უღელი დაეკრძო კისერზე. მართლაც, განა შესაძლებელი იყო, რომ ოთხი თუ ხუთი ქტევა მიწის ჰატონ გლეხს¹⁾ დამოუკიდებელი მეურნეობა დაეწყო? რასაკვირველია არა. გარდა იმისა, რომ ოთხ გინდ ხუთ ქტევა მიწას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა გლეხის არსებითი მოთხოვნილებანი, მას ხელიდან გამოეცალა საკუთარი საბაღანო, წყალი და ტყე, ესე იგი გლეხის მეურნეობის ისეთი ელემენტები, ურთმლებისათ შეუძლებელია თვით ეს მეურნეობა. ყოველივე ეს კარგათ იგრძნო მეპატონემ; იგრძნო, რომ გლეხი ნამდვილათ მხოლოთ დღეს შეიქნა მისი ემა. შეიგნო ყოველივე ეს მეპატონემ და შეუდგა კიდევ მამინვე დროთავითარების მიერ მინიჭებულ უფლებებით სარგებლობას. ახლა გადავხედოთ, თუ რას შეიცავს ამ კათავისუფლებული ემის მდგომარეობა

ზირველ ყოვლისა გლეხს დაედო გადასახდათ მიწის ღაღა, რაც მან წინეთ, კათავისუფლებამდის, არ იცოდა; ღაღას იხდის ის დღეს სახნავ-სათესი მიწის იმ ნაწილზე, რომელიც წინეთ მის საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ შემდეგ აღსარებულ იქნა მეპატონეს საკუთრებათ, რომელსაც ის ვერ მოცილდება ვერასოდეს. ღაღის რაოდენობა დამოკიდებულია გლეხისა და მეპატონეს კერძო შერიგებაზე. ეს შერიგება კი შემდეგ ზირბებზე არის დამოკრებული: გამოანგარიშებულია მოსავლის რაოდენობა გან-

საზღვრულ სახნავ მიწაზე კარგ მოსავლიან წელიწადში და ამ გვარათ გამოანგარიშებული მოსავლის ნახევარი ან ორი მესამედი მიაქვს მიწის ჰატონ-მეპატონეს. აქ უკრადლების ღირსია ის კარეშობაც, რომ ცუდი მოსავლიანი წელიწადი სრულებით ვერ ცვლის ღაღის რაოდენობას; ხოლო ასეთი შეუცვლელობა ღაღის ნორმისა კი ხშირათ გლეხს ხდის მარტო ბატონის მეკებავ-მარხენელათ, რადგან მოსავალს ყოველთვის არ უწეობს ხელს ჰავა, ამინდი. ამის გამო ხშირათ გლეხის მთელი წლის ნამრამ-ნაღვაწი საჩხო მარტო მიწის ჰატონის დაკმაყოფილებას ძლივს ჰყოფნის, თვით მშრომელი კი ჰირღია რჩება. არა იშვიათათ გლეხი ღაღას იფულათ იხდის; ამ შემთხვევაში ის იხდის არა იმ ფასს, რომელიც იმ დროს საშუალო-საბაზრო ჰურის ფასათ ითვლება, არამედ ყოველთვის ადგილობრივ საწვავზე მეტს. ამ გვარათ ფასის გადამწვევტი მეპატონეა, და არა ადგილობრივი მახანდა. გარდა მიწის ღაღისა თვითივე კომლ გლეხს აძევს მეპატონის სასარგებლოთ გადასახდათ ხუთი მანეთი, ეგრეთ წოდებული „საკაღანღა“. ამ ხუთი მანეთის გადახდათ გლეხს ეძლევა უფლება საძოვ მინდვრებზე და ღრიანკვლებზე საქონლის გამორეკისა და ტეის სარგებლობისა მხოლოთ შემით. ყოველ წლიურ გადასახდათ აძევს გლეხს აგრეთვე წისქვილის ბაჟი. წისქვილის ბაჟს იხდის არა მარტო ის, ვისაც წისქვილი უდგია, არამედ ისიც, ვისაც ასეთი არ უდგია, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ჰირველი იხდის წელიწადში ორ მანეთს, ხოლო მეორე მანეთს. ჰირველი იხდის იმიტომ, რომ უდგია წისქვილი, ხოლო მეორე, აღბათ, იმიტომ, რომ არ უდგია. ეს უკანასკნელი წისქვილის ჰატონებსაც აძლევენ ყოველ წლიურ განსაზღვრულ ფასს დაფქვაში. როგორც სვანეთში ამბობენ, ეს საერთო წისქვილის გადასახდადი ამ უკანასკნელი წლების რეფორმას, წინეთ მხოლოთ წისქვილის მეპატონეთათვის იყო დაწესებული.²⁾ აქ ჩამოთვლილი სამი კატეგორიის გადასახდადი არის ყოველ წლიური და აუცილებელი. ისე აუცილებელი, როგორც სახელმწიფო ბეგარა. მაგრამ მეტ კაჭირვებას განიცდის გლეხი კერძო შემთხვევით გადასახდადებში. ასეთი გადასახდადები არ არის განსაზღვრული არც კანონით და არც ჩვეულებრივი უფლებით; ამიტომ ესენი იცვლებიან და იზრდებიან ისეთი თანდა-თანობით და სისწრაფით, როგორც იზრდებიან და ფართოვდებიან მეპატონეების ცხოვრების მოთხოვნილებათა. ასეთ გადასახდადებს ეკუთვნის სიღის, ქვის, და ტეის ბაჟი. სიღა და ქვა სვანისთვის მიუცილებელ საგნებს წარმოადგენენ, რადგან შეაცირი ბუნება იძულებულს ხდის მათ უთუოთ


¹⁾ ოცდა-ათი წლის განმავლობაში ეს პატონა საკუთრებაც ისე დაკუწმაწებულა, რომ დღეს ხშირია ისეთი გლეხის ოჯახი, რომელსაც ერთი ქტევა მიწაც არ გააჩნია. მიზეზი ამისა—მკვიდრთა გამრაღლება.

²⁾ სამართლიანობა მოითხოვს შევნიშნოთ, რომ თ. მ. დაღეშკელიანი, როგორც მისმა ნაშრომმა გლეხებმა გადმომცეს—მხოლოთ წისქვილის პატონებს ახდევინებს წისქვილის ბაჟს—და არა ყველას, განურჩევლათ.

ქვის სადგომი გაიკეთოს. ხის სახლები აქ ძლიერ იშვიათია, ასეთი სახლების შენება მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში დაიწეს სვანებმა, რადგან სიღას და ქვას ერთობ ზღაპრული ბაჟი დაადგეს მეტატანებმა. მაგალითათ, ერთ სართულიანი საშუალო ზომის სახლის აშენება მარტო სიღის და ქვის ბაჟით თხულებს გლეხისაგან ამ ჟამათ, საშუალო რიცხვით რამ ვთქვათ, ას მანეთს, ანა იშვიათათ ბევრათ მეტრსაც. ბაჟის ასეთი მეტ-ნაკლებობა დამოკიდებულია იმაზე თუ რაგორ კერძო განწყობილებაში იმყოფება გლეხი მეტატანესთან, ესე იგი თუ რაგორ ზირფნულ სამსახურს უწევს და ერთგულებას უჩენს გლეხი მეტატანეს. იმ „ხემეკმა“, რომელსაც მოწყალების თვალთ უცქერის მეტატანე, შეიძლება რვა თუშნითაც დააღწიოს თავი სიღისა და ქვის ბაჟს. გლეხს თუ სახლის გაკეთება არგუნა გარემოებაში, მთელი სიცოცხლე შეძრწუნებული და ჩამწარებული აქვს მეტატანის მოურავების დარბევისაგან: გარდა იმისა, რომ ერთ დროებით ახდევინებენ მას სიღის და ქვის ბაჟათ თხუთმეტ თუშნამდე, თითქმის ყოველ წლებით ერთმეკენ ძრახს, ცხენს და სხვას... აი რა სასტიკი ზირფებიან არის გარემოცული სადგომის გაკეთების საქმე სადადეშკელიანო სვანეთში. ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ ძმები იშვიათათ იყოფებიან სვანეთში; სწორათ ერთ სადგომში ოცი, ოცდაათი სული ადამიანი ცხოვრობს; ამავე სადგომში მოთავსებულია გლეხის შინაური ზირუტყვი: ხანი, ძრახა, თხა, ცხვარი, ცხენი, ღორი და სხვ... ადვილი წარმოსადგენია, თუ რაგორი ჭკარი უნდა შეფობდეს ასეთ სადგომში. თუ რამდენათ უძძიმს სადგომის აკება აქაურ გლეხს, ეს ნათლათ ჩანს იმ გარემოებიდან, რომ სწორათ ძმები მთელ თავის უძრავ-მოდრავ ქონებას იყოფენ, მაგრამ ერთ სადგომში კი რჩებიან. ამ შემთხვევაში სახლის შუა ადგილას ღობეს ავლებენ და ერთი მხრით ოჯახის ერთი ნაწილი თავსდება, ხოლო მეორე მხრით — მეორე. ეს გარემოება სხვათა შორის სამოსახლო მიწის სიძვირითაც აიხსნება.

მება ფარული.

(დასასრული იქნება)



ჩვენი საკვირაო სემოლები

რაგორც ყოველი ქართული საქმე, საკვირაო სკოლები დიდი ზარითა და ზემოთ დაიწყო; ვინ გინდა რომ არ დაესწრო, არ მახსოვს, მგონია რეჩებიც კი ითქვა. მაგრამ გავიდა რამდენიმე წელიწადი და ჩვენი საკვირაო სკოლების მასწავლებელთაც გაუგრილდათ გული. მაგალითათ გასულ წელს მოსწავლე ახალგაზღობა რომ არ მიშველებოდა — ორივე ვერის სკოლები, თუ არა, ერთი მაინც რომ უეჭველათ დაიკეტებოდა. მერე რაიქნენ ისი-

ნი, რომელიც ასე შეხაროდენ საკვირაო სკოლის დაარსებასა? იტყვის მკითხველი. მართალია, საკვირაო გიერაზები გავიდენ თფილისიდან, მოვახსენებთ ჩვენ, მაგრამ უმრავლესობას კი. თუმცა ისევ თფილისში ბრძანდება, მაგრამ ამ სკოლისათვის აღარა ცხელა: ზოგი ვითომ და უფრო სასარგებლო საქმეში გაერთო, ზოგმა გაიხსენა, რომ კვირა დადებულია დასასვენებლათო და წ მოწვა მხარ თეძოზე, ხოლო ზოგი ბუღვარის ტყეზას ამჯობინებს მუშა — მოსამსახურებთან მეცადინეობას და სხ. და სხ. ასეა თუ ისე, ჩვენი საკვირაო სკოლები თითქმის უმასწავლებლოთ არიან და შეიძლება კიდევ განისვენონ წილსა შინა აბრაამისა-სა, თუ თფილისის ქართველმა მასწავლებლებმა ამ სკოლის მიმართ გულ გრილობას თავი არ დაანებეს.

თუმცა საკვირაო სკოლაში არა მასწავლებელთაც შეუძლიათ მეცადინეობა, მაგრამ, ჯერ ერთი, რომ პური მეზურეს დააკრევიონს კაცმა, და მეორეც, ჩვენი საზოგადოება იმდენათ გულგრილი კი არა, გულ გაყინულია, რომ მასწავლებლებმა თუ არ მიხედეს, სხვები ყურებსაც არ გაიბერტყენ და ასეთი სასარგებლო და საჭირო დაწესებულება, როგორც არის საკვირაო სკოლები, ხელიდან გამოგვეცლება. მასწავლებლებმა დასახმარებლათ უნდა მოიშველონ ქართველი ექიმები, რომლებმაც მდაბიური ენით უნდა უკითხონ მოსწავლეებს რჩევა-დარიგებანი საერთო ჰიგიენიდან, ანატომიიდან და ფიზიოლოგიიდან.

რაც შეეხება სხვა საგნების სწავლებას, კითხვების გამართვას და სხ. ეს ყველა უნდა იკისრონ მასწავლებლებმა ინსტიტუტელების და სემინარიელების შემწეობით. რამდენათაც ეს პირნი გამოიჩენენ საქმის ცოდნას, გულმოდგინეობას და უანგარობას, იმდენათ ჩვენი საკვირაო სკოლები უფრო პირნათლათ შეასრულებენ თავის დანიშნულებას და დაადგებიან განვითარების, წინმსვლელობის გზას.

სასწავლებლისათვის, გარდა მასწავლებლებისა, საჭიროა სასწავლო ნივთები, რომელიც მუქთათ უნდა ეძლეოდეს შევირდებს, ჭერი, რომ წარა-მარა წანწალი არ მოუხდეს სკოლას, საკუთარი ბიბლიოთეკა, ჯადოფარანი და სხ. ყველა ამისათვის კი საჭიროა ფული და ისევ ფული. ეს ხარჯები კი სრულებით საზოგადოებამ უნდა იკისროს, რათა ექვს დღეს უღელში ნაბამ მასწავლებელს ესენი მაინც საფიქრელი და სადარდელი აღარ ჰქონდეს. რადგანაც ძნელი წარმოსადგენია, რომ თფილისის საზოგადოებას არ ესმოდეს საკვირაო სკო-

ლების მნიშვნელობა, ამიტომ იმედი გვაქვს რომ სკოლის მოთავეს მხარს მისცემს, და მით შეძლებინებს პირ ნათლათ გამოვიდეს იმათთან, რომელნიც საკვირაო სკოლაში მოისურვებენ წერათხვის შესწავლას.

ი. გო—რი.

ქართული თეატრი ქუთაისში.

სექტემბრის 17 გაიხსნა ჩვენი თეატრის სეზონი; ითამაშეს „სამშობლო“, რომელმაც დიდი საზოგადოება მიიზიდა. რაც უნდა ვთქვათ, ეს ზიესა საუკეთესოა ჩვენ ისტორიულ ზიესებში, — ის ეგვარზე უფრო სტენიურია, არ არის გადაჭარბებული „ზატრიტული“, მისი დედა-აზრი კეთილშობილურია. ის სამართლიანათ მოწონს ხალხს... სამწუხარო იქნებოდა, რომ ეს ასეც არ იყოს.

მთამაშენი შარშანდღეები იუვენ გარდა ბ. ჭელიძისა, რომელიც ს. ლეონიძის როლს ასრულებდა. ეს ახალი მსახიობი ძლიერ მოგვაგონებდა ბევრ ადგილებში კ. ვიფანს, და თუ სავსებით ვერ დავგვიხატა ლეონიძე, ეს იმიტომ, რომ ჯერ კარგათ გამოცდილი და გავარჯიშებული არ არის. სხვებზე არას ვიტყვი, რადგან ეს უბოძო ნათქვამის გამოცრება იქნებოდა.

24 სექტემბერს მეორე წარმოდგენა გაიმართა. დადგმული იყო პირველათ ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“, ა. ცაგარლის თარგმანი. მეტათ საუურადღებოა ეს ზიესა დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისათვის და ცოტა ვრცელათ შეგვხებით მის შინაარსს. ზიესის მომქმედი პირები — ჩინოვნიკები: ვიშნევსკი, უფროსი ჩინოვნიკი (ბ. ჭელიძე), იუსოვი, ძველი ჩინოვნიკი, ვიშნევსკის ხელქვეითი (ბ. მუსხიშვილი), ბელგუბოვი, იუსოვის ხელქვეითი (ბ. აწურელი), ჟადოვი, ვიშნევსკის დისწული (ბ. დ. ჩარკვიანი), ვიშნევსკის ცოლი (ქ. ორ—ძე), კუკუშინა, კოლ. ასესორის ქვრივი (ქ. ჩიქოვანი), ზოლინა და იულინა, ამისი ქალები (ქ. ჩხეიძე და გვეტაძე). ზიესის გმირი, ნამდვილი, კეთილშობილი გმირი ჟადოვია. დრამაში ბოროტების და სიკეთის შეტაკებაა ამა თუ იმ სხნით ეფველთვის. ჟადოვი სიკეთის წარმომადგენელია (ვიშნ. ცოლიც ცოტათ), სხვები — ბოროტის, დრამა — მათი ბრძოლაა. ჩინოვნიკური წრეა ის წრე, რომელშიაც ჟადოვი ჩაუგდია ბედს. აქ ეგვლაფერს თავისებური ელფერი აქვს, ეგვლაფერს ერთგვარი ბეჭედი აზის. რას აფასებენ აქ კაცში? ჩინოვნიკობას. მისი დედა-მცნება მორჩილება უნდა იყოს. უფროსის წინაშე უნდა ცხსტახებდე (იუსოვი); რაც უნდა გითხრას, ხმა არ შეუბრუნო; ეფველივე მისი მოძრაობა მდგდელ-მძქმედებათ უნდა მიგაჩნდეს, მისი აზრი — შეურეველ ჭეშმარიტებათ, მისი


სიტყვა — თაფლათ. შენი აჩხებობა უნდა შეუერთო მის აჩხებობას და კეთილ დღეობას, მაშინ მოკიდე კალთაში ხელი და მისდევ უკან: შენია ჩინები, ორდენები და ეფველიფერი თუ უფროსმა მოკატცია უურადღება, კაცი ხარ, თუ არა — ჭია (იუსოვი და ბელგო.).

საკუთარი აზრი — პირველი დანაშაულობაა. შენი ჭკუა უკუ უნდა ავდო. ეფველი შენი აზრი მკაცრათ განსაზღვრულ კალაზოტში უნდა მოძრაობდეს, ეფველივე შენმა შეხედულებამ უკვე დამტკიცებული ფორმა უნდა მიიღოს...

რა არის ქალი ამ წრეში? იგი შეუდღე, ამხანაგი კი არ არის ქმრისათვის, არამედ სთამაშო, კასართობი საგანი. ქმარმა უნდა მორთოს ცოლი ძვირფასი სამკაულებით, ხალხში გამოიყვანოს, ელერსოს, ეფველი სურვილი აუსრულოს, აღმერთოს; ცოლმა არ უნდა იმუშაოს, სამზარეულოს არ მიეკაროს (კუკუშინა). ქალი საზოგადოებისთვის არის გაჩენილი: მან ეფველთვის მოდაზე უნდა ჩაიცვას, ეგვლას თავი მოაწონოს, ეგვლა ეარშიეოს მას. ქალის სიყვარული ფასათ იეიდება. ცოლს უნდა უეგვარდეს ქმარი, რომელსაც მისთვის სულ ახალ-ახალი საჩუქრები მოაქვს (ვიშნევსკი).

როგორ ესმით აქ ადამიანთა შორის ურთიერთობა? რაც შეიძლება უფრო მოატყუილე ეგვლა, რაც შეიძლება, უფრო გაცარტვე ეგვლა, რაც შეიძლება მეტი ქნება შეიძინე, როგორ — ეკ სულ ერთია. პირფერობა, გარყვნილობა, ლოთობა (ნამეტურ სხვის ხარჯზე), მექრთამეობა აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ რის ქრთამი! ქრთამი ხომ ლიბერალების მოგონილი სიტყვაა; ქრთამი კი არა, მაღლობის გადახდაა, სხვა არაფერი.. ასეთია ის წრე, რომელშიაც იმეოფება ჟადოვი. ის მზათ არის ჭამლეტის გვრათ წამოიძახოს: „აჩარობავ, ჩინოვნიკი უნდა გერქვას შენი!“ ჟადოვი ახალი თაობის, ახალი ცხოვრების წარმომადგენელია, იმ თაობის, რომელიც ეწინააღმდეგება ძველ, დახვსებულ ზნე-ჩვეულებას საზოგადოებისას. ჟადოვს უნიფერსიტეტი გაუთავებია, კეთილშობილი მისწრფებანი აქვს, ბიძასთან მზხურბოს, მაგრამ დამოუკიდებლათ უკავია თავი, ქედს არ იხრის ბიძის წინაშე. სამსახურში ხაკლებათ დადის — რა უნდა გააკეთოს იქ? წეროს უაზრო, უნაყოფო ქადაღლები? კანცელარიაში როდესაც მივა, სულ ზნეობაზე ესუბრება მხხლეებს. იუსოვი და მისი გვარი ჩინოვნიკები ეძაკება და მუდამ მათ განკიცხვამია.

მაგრამ მეტათ ჩვეულებრივი და სუსტი ადამიანია ჟადოვი. ის არ აღუდგა ბოროტებას წინ პირდაპირ: ან შეაკვდეს, ან გაიტანოს თავისი. . სავარელი ქალის ზოლინისი (დარბია) შერთვა უნდა, და ჯამაგირის მომატებასაც თხოვს ბიძას. ვიშნევსკი საზოგადოთ გულმოსულია დისწულის ეფვა-ქცევაზე და უკანასკნელ საქციელზე ნამეტნათ გაუჯავრდება მას. ჟადოვი წაეკიდება ბიძას, შე-



ერთავს ზოლისას, შევა კვლავ სხვა სამსახურში და ამ შრომით და გაკვეთილებით თავს ინახავს, როგორც არის; მამინ რადესაც მისი ქვესლი ბელგოგუბოვი სისწრაფით წავიდა წინ, შეითვისა დროების ვითარება, მამას უწოდებს იუსოვს, მიიღო კარგი შემოსავლიანი ადგილი, ისწავლა მოხერხებულათ ქრთამების აღება. უადფო სულთ ეტემა; მასში ბრძოლას, სიდედრი და ზოლისა მას კიცხავს. წაუკიდებთან კიდევ: ეუბნებთან, რომ ის ვერ არის კარგი კაცი, ზატოისანი ქმარი—სიღარიბეში ჰყავს ცალი... ტუეილათ უქადაგებს უადფო ზოლისას: ორივემ ვიშრომით და ზატოისანი შრომით ვიწინოთ თავაო. ზოლისა დედასთან წასვლას ემუქრება. უადფო ვერ გაუძლებს ამას, და ძნელსულიერ ბრძოლას შემდეგ მიღის ბიძასთან ბოდიშის მოსახდელათ და შემოსავლიანი ადგილის სათხოვრათ. ბიძა მისს საქმეები ცუდათ წაუვიდა (სამართალში მისცეს უკანონობის გამო); ის ვერ არის კარგ ეუნებაზე, გაჯავრებული და დაცინვით შესვდება თავის დისწულის თხოვნას. „ეგ არის შენი თაობა, განათლებული, ზატოისანი, სიშართლისთვის წამებულიო“!.. უადფოს გამოაფხიზლებს ბიძის სიტყვები. ის წუეეჯას თავის დაცემას და გამხნეებული მიღის ბიძის სახლიდან ამ სიტყვებით: „შე გიბრი არა ვარ... სკირებებს, ნათესავთა უმეცრებას შეუძლია დამამხოს მე; მაგრამ სკამარისია ასეთი გაკვეთილი, როგორც დღეს. რომ მე ისევ ფეხზე წამოვდგე... შეიძლება შევირყე, მაგრამ დანაშაულობას არ ჩავიდენ!“

როგორ გავს ეს უეკლათერი ჩვენ ცხოვრებას! წინ წამოგიდგება ადამიანს ჩვენი ძველი თაობის აზრის სივიწროვე, დახავსული შესედულობა, უარყოფა უეკლათერის, რაც ეწინააღმდეგება მის მოკლე აზრებს, განდევნა, უფული ზომით დაჩაგვრა იმის, ვინც მას არ ეთანხმება, დასახუქრება შემოსავლიანი ადგილით იმის, ვინც მის წინაშე მუხლებს მოიყრის...

კაცს გეგონება ქალების აზრები, ქალებზე შესედულობა, ეს სულ ჩვენი ცხოვრებიდან იუფს გადაწერილიო...

როგორ მოგვაგონებს უადფოს ჩვენი ზრტუესტანტების, ძველი ცხოვრების მოწინააღმდეგეთა, უმრავლესობა! როგორც უადფოს, დღევანდელ მოწინააღმდეგეს ვერ გაუწევებთ უფული კავშირი ძველ ცხოვრებასთან: ვერ აღუდგა მას წინ საფსებით, ვერ გამოუცხნადა მას სამკედრო სასიცოცხლო ომი. ჩვენებურმა მოწინააღმდეგეკმ სშირათ იცის კომპრომისები, სშირათ ბოროტიკობს. ჯერ არ მოვლენილან ჩვენში ის მებრძოლი გმირები, რომლებიც ან მოკვდებიან, ან თავისას კაიტანენ (თითო ორ-ორი მაკალითი საზოგადო ტიზათ არ ჩაითვლება). არ გუეეჯანს მებრძოლი კაცები, არ გუეეჯანს მებრძოლი ქალები!.. მხოლოთ ნიადაგი კი მზადდება ამისთვის დღეს, ეს უეჭვოა და ეს არის სახუკეშო.

მადლობის დირსია ჯ. მესხიშვილი „შემოსავლიანი ადგილის“ დადგომისთვის. ზიესა მეტათ კარგათ იუფ ხათამაშევი.

ჩვენმა დასმა წელს ახალი ძალები შეიძინა. რეპერტუარსაც მდიდარს გვზირდება. დამზადებულია ბევრი ახალი ზიესები, როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ცხოვრებიდან, ევროპული და ქართულიც.

S—n.

P. S. მეტათ გვაკვირვებს ქალაქის თეატრის გამოკომისიის საქციელი, ქართული დასი მცხოვრებთა უმრავლესობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ქართული დასი აძლეფს თეატრს მეტ ქიარას, და ეს დასი იძულებულია ზოგიერთი კვირას დღეები მოსულ დასებს დაუთმოს!

პ ი გ ი ე ნ ა .

კავკასიის საექიმო საზოგადოებამ კაი ხანია გადაწყვიტა შეიმუშაოს სხვა-და-სხვა საპიგიენო საჭირო ცნობები და რუსული, ქართული და სომხური ენის საშუალებით კავკასიის ხალხში გავრცელოს. ამისათვის შედგა ცალკე კომისია ექიმებისა, რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ. ბაბაევი. კომისია უკვე შეუდგა ამ საქმეს და ჩვენ გვთხოვს ეს ცნობები ქართულათ პირველათ „კვალში“ გამოვაქვეყნოთ და შემდეგ ცალკე ფურცლებათ გამოაცეს. ჩვენ დიდი სიამოვნებით მივეგებეთ ამ წინადადებას და აი კიდევაც ვებქდავთ პირველ წერილს ყელ-ჭირვების შესახებ, რაიცა ამ ხანათ ასე გავრცელებულია. შემდეგ დავებქდავთ ასეთსავე წერილებს სხვა ავთიმყოფობის შესახებ. იმელია „კვალის“ მკითხველი ცხოვრებაში გამოიყენებს ყველა ამ დარიგებებს.

რედაქცია.

1—ქუნთრუმა ანუ ყელჭირვება

ქუნთრუმა საშიშარი ავთიმყოფობაა: იმისაგან ბევრ ემაწვილს ესაზობა სიცოცხლე; ეს სენი უფრო ბავშებს ემტერება, მოზრდილებს კი იშვიათათ შეხვდება. ვისაც ქუნთრუმა ერთხელ მოუხდია, მეორეთ იშვიათათ შეეყრება.

ქუნთრუმა გადამდები სენია, თუ ერთ ვისმე გამოაჩნდა ოჯახში, მალე სხვებსაც გამოაჩნდება; ერთი რომ ჯერ ფეხზე არ წამომდგარა, მეორე ავთ ხდება, მეორეს მესამე მოჰყვება და ამნაირათ მთელ ოჯახში ყველა ბავშებს დაერევა.

ხშირათ ისეც მოხდება, რომ ჯერ ერთოჯახში გამოაჩნდება ვისმე ქუთრუშა, მერე, პატარა, ხანს იქით, ახლო მეზობლის ოჯახში ამოჰყოფს თავს, ან არა და სოფლის თავსა და ბოლოში, ერთმანეთზე კარგათ მოშორებულ ოჯახებში გაჩნდება. რადგანაც ეს სენი მეტის-მეტათ გადამდებია, ჩქარი მოარულია, სოფლის თავში რომ ქუთრუშიანი იყვეს და სოფლის ბოლოდან იმასთან სანახავათ ვინმე შივიდეს, იცოდეთ ქუთრუშას თან გაიყოლებს და ან თვითონ გახდება ავით, ან არადა ოჯახში მიიტანს და ვისმე თავისიანს შეჰყრის. მეორე სოფლიდანაც რომ ვინმემოვიდეს ქუთრუშიანის სანახავათ, როცა უკან დაბრუნდება თან გაიყოლებს ამ სახადს და იმ სოფელშიაც გააჩენს ამ სენს, საცა ადრე არა ყოფილა; მაგრამ ესეც უნდა იცოდეთ, რომ როცა უკან დაბრუნდება თავის სოფელში მაშინვე კი არ გამოაჩნდება ეს სახადი, ერთს ან ორ კვირას აცლის, მერე კი ან თვითონ იმას გამოაჩნდება, რომელმაც ქუთრუშიანი ინახულა, ან არა და ვისმე იმის მეზობელთაგანს.

ქუთრუშას ამ ნაირი თვისება აქვს; ერთი თუ გახდა იმით ავით; მეორეს გადაედება, ერთი ოჯახიდან მეორეში გადავა, ერთ სოფლიდან მეორეში გაემგზავრება; ამისათვის შეგვიძლია ამ სენს გადამდები, მოარული, ვუწოდოთ. სახადიც რომ დავარქვათ — არც ეს იქნება შეცდომა, რადგანაც ვისაც ქუთრუშა უხდია, მეორეთ ძნელათ მოხდება, რომ ხელახლა შეეყაროს.

თუ იმას იკითხავთ, ავითმყოფისაგან კარგათ მყოფს როგორა გადაედება ქუთრუშაო, ამის პასუხიც ადვილია: საცა ქუთრუშიანი წევს, იმის ახლო-მახლო ჰაერი სულ ერთიანათ მოწამლულია, რადგანაც ამ ჰაერით სუნთქავს ავით-მყოფი; რაზედაც ავითმყოფი წევს ის ქვეშაგებიც მოწამლულია ქუთრუშით; ავითმყოფის ტანსაცმელი, იმის ნახმარი ჯამ-ჭურჭელი და საზოგადოთ ყველაფერა, რაც კი იმის სიახლოვეს იმყოფება, ქუთრუშის შხამით არის მოწამლული.

რასაკვირველია, რომ ვინც მივა ავითმყოფთან ან ვინც ღლე და ღამე იმასთან იქნება, იმას უქველათ ეს შხამი გადაედება, ქუთრუშა შეეყრება. ხშირათ ისეც მოხდება, რომ ვინც ქუთრუშისანს უვლის, ის თვითონ გადარჩება ამ ავითმყოფობას, მაგრამ სტუმრათ თუ სადმე წავიდა, თან გაიყოლიებს ამ სენს და სხვას ვისმეს კარგათ მყოფს შეჰყრის ქუთრუშას; ამ სენის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადატანა სულ ადვილათ შეიძლება. შეიძლება ქუთრუშა გაჰყვეს იმ ადამიანს, რომელმაც ავითმყოფი ინახულა, გაჰყვეს იმ ნივთებს

და ავეჯეულობას, რომელიც ქუთრუშისანის ოჯახში იმყოფებოდა; განსაკუთრებით საშიშარია კაცმა ხელი ახლოს ავითმყოფი ტანისამოსს და იმის ქვეშაგებს. ქუთრუშისანი ბავშვის ტანისამოსი ან საბანო რომ ბავშვის დედამ მეზობელს აჩუქოს ან მიჰყილოს, უქვევლათ მეზობლის ოჯახში ქუთრუშას გააჩენს და მეზობლის ბავშვებს შეჰყრის ამ ავითმყოფობას. ტანისამოსი და ქვეშაგებელი კი არა, პურიც რომ ისესხონ ქუთრუშისანის ოჯახიდან, იმ პურსაც შეიძლება გაჰყვეს ეს სენი; ხშირათ მოხდება, რომ ქუთრუშა თან გაჰყვება ღვინოს, რძეს, წყალს, ხილეულობას წერილს, წიგნს და სხვა ამისთანებს და ამ ნაირათ გავრცელდება ერთი ოჯახიდან მეორეში, ერთი სოფლიდან მეორე სოფელში.

ვისაც ქუთრუშა შეეყრება, იმას ეს ავითმყოფობა ნელ-ნელა, ჰეპარვით კი არ გამოაჩნდება, სწრაფათ, მოულოდნელათ შემოუტევეს; ღილით რომ ბავში კარგათ იყვეს, თამაშობდეს, სასწავლებელიც მოიაროს, საღამოს ერთბაშათ ბავშვს ხელფებს მოუსხდეს, ქვეშაგებში გაახვევს, შეაცივნებს და შეაზმორებს, თავს აატკივებს, საქმელს მოუსპობს, პირის ზღილს მოჰგვრის; პატარა ხანს შემდეგ სიცხეს მიტყემს, სიმპურვალისაგან ბავში საბანს აღარ იყენებს, ბურანში ჩააგდებს, ბოდვას დააწყებინებს.

ამას შედეგ მალე პირიდანაც აღებინებს, ჯერ საქმელს წამირწყევინებს, მერმე ცოტა ნალღველსაც ამოაყოლებს მეორე ღლეს გაერთებული პარტახტი გამოაჩნდებ, ესე იგი მთელი ტანი გაუწითლდება (პატარა ძიზიბებით) წითელი ყანაოზის ფრათ; თუ კარგათ დააცურდებით, შეამჩნევთ, რომ მთელ ტანზე რწყილის ნაკბენივით წვრილ-წვრილი, წითელი ხალებია ოყრილი; ეს პარტახტი პირის სახეზედაც გამოაჩნება, მაგრამ ყველგან კი არა, ცხვირი და ტუჩებიერთათ, ფერმკრთალათ გამოსჩანან. ამ დროს ავში ყელსაც იტკივებს, ყლაპას უშლის; პირი იმ დააღებინო და ყელში ჩახედო, შეამჩნევ, რომ ელი გასივებია და გაწითლებია: გარედანაც კისრ ჯირყვლები შესივებია და იტკივებს. სოცხე და პტახტი ოთხ ღლეს გასტანს, ხან ცოტა მეტს. კისსა და ყელის ტკივილი ქუთრუშისანს არ აცდებ ამისათვის იმერეთში ქუთრუშას ყელჭირვებას ეძიან.

თუ ბავშვს ოთხ-ხუთ ღლემი არაფერი დაემარო მერე სიცხე ნელ-ნელა უკლებს, პარტახტიც რს ჰკარგავს, კანი წვრილ-წვრილათ ქერტლდება, ცვივა ქატოს მსგავსათ; თითებზე და ხელის ულებზე კი კანი სულ აძვრება და ნაგლეჯ-ნაგ-

ლევანთ ჩამოცვივა. ამ ავთმყოფობას ყველა ვერ აიტანს, საბრალო ბავშვები ხშირათ პირველ დღეებშივე დიდ სიმბურვალეს ველარ უძლებენ და იხოცებიან; ბევრი მათგანი, პარტახტის და სიცხის გაქრობას შემდეგ, ლოგინათ ვარდება და დიდ ხანს ავთმყოფობს; ამ ხანგრძლივ ავთმყოფობაში წყალმანკიც ემართებათ, ტანი და ხელ-ფეხი უსივდებათ. ხშირათ კისრის ჯირკვლებიც უჩირქდებათ; ყურების ტკივილი და დაჩირქება იშვიათი არ არის; წყალმანკი და ჩირქის დენა იმოდენათ ასუსტებს ბავშს, რომ სათუოდან ველარ გამოდის და კვდება.

როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ბავშს ქუნთრუშა გამოაჩნდება? უმჯობესია რომ მაშინვე საავთმყოფოში წავიყვანოთ და იქ დავაწვინოთ, მოვლითაც უკეთ მოუვლიან და თვის დროზე წამლობაც არ დააკლდება; საცა მოლა და პატრონობა უკეთესი ექნება, იქ ავთმყოფიც უფრო აღვილათ მორჩება; ამას გარდა საავთმყოფოში დაწვენა იმისათვისაც არის უმჯობესი, რომ ვინც სახლში დარჩება ისინი შეიძლება გააჩრჩენ ამ სენის რადგანაც ქუნთრუშიანი დახიზნულ იქნება. თუ რომ საავთმყოფოში დაწვენა მსუბერხებელი და შეუძლებელი შეიქნეს, მაშინ უეჭვლათ ექიმს უნდა აცნობოთ, ის დაგარიგებთ თუ როგორ მოუაროთ ავთმყოფს, ან როგორ უწალოთ, ან როგორ გადაარჩინოთ ქუნთრუშისაგან დარჩენი ბავშვებიც და მთელი ოჯახიც.

ექიმის მოსვლამდე თვითონ შიურებმა უნდა მოუაროთ ავთმყოფს, ესე იგი 1) მოუშხადოთ რიგიანი ქვეშაგებელი და გაუმართო საწოლი; საწოლ ქვეშ, ქვეშაგებლის მაგივრათ, არამც და არამც ტანისამოსი არ დაუფინოთ, ჯის თივა ან ჩალა დაუგოთ, რადგანაც თივაც და ჩალაც დასაწვავი გახდება, ტანისამოსი კი ძნელი გამეტებელია დასაწვავათ; ავთმყოფის ტანისამო კარგათ უნდა გასუფთავდეს, გაირეცხოს და გაშინდოს, თორემ ვინც ავთმყოფის ქვეშ ნაგებ ტანისამოსს ჩაიცვამს, ან ხელში აიღებს — უეჭვლათ ქუნთრუშა გადაედება.

2) ქუნთრუშიანის ოთახში სუფთა დაშინდა ჰაერი უნდა ტრიალებდეს, რომ ავთმყოფს ენთქვა არ დაუმძიმდეს; ჰაერის სისუფთავისათვის, საჭიროა მალ-მალ ფანჯრების ან კარების გება; ცივი ჰაერი რომ არ ეცეს, ფანჯრის გაღების ხოს ჯობს ავთმყოფს მეტი საბანი დახუროთ; თ იმ ოთახში, საცა ქუნთრუშიანი წევს ბუხარი იყვეს, იქ არის სისუფთავისათვის გირჩევთ ბუხარში ცეცხს ნუ გააქრობთ, დღე და ღამ გაუნელებლათ გ-

თოთ. ამას გარდა ავთმყოფის ოთახში უნდა იყვეს მტვერი, ნაგავი, ნარეცხი ქუქყიანი წყალი; რაც მეტი ბარგი-ბარხანაა: ქურქლეულობა, ავეჯეულობა, კვხ-უნაგირი ან ამისთანა რამეები ჯობს ავთმყოფის საწოლ ოთახიდან სადმე სხვაგან გადიტანოთ. სუფთა ჰაერი საზოგადოთ ყველა კარგათ მყოფისათვის საჭიროა, სუსტს და ავთმყოფს ხომ რაღა თქმა უნდა მეტის-მეტათ ეჭირვება.

3) თვითონ ავთმყოფი სუფთათ უნდა შეინახოთ; ქუნთრუშიანის დაბანა თფილი წყლით საშიშარი არ არის. პერანგი შეგიძლიათ გამოუცვალოთ იმ დროსაც, როცა პარტახტი აქვს ტანზე გამოყრილი. სუფთა ქვეშაგები და სუფთა საცვალი ავთმყოფის ტანს იამება.

4) სიცხის დროს, როცა ავთმყოფს თავი უხურს, შეიძლება ცივ-ცივი ტილოთი თავი გაუგრილოთ; პირსახოცი უნდა ხშირ-ხშირათ დასველოთ ცივ წყალში, თუ გათბა — არ ივარგებს.

5) პირი უნდა გამოუწმინდოთ პატარა ბავშვებს სველი სუფთა ხელსახოცით; ხელსახოცის დასასველებლათ უბრალო წყლის მაგივრათ მოდულებული და განელებული წყალი ჯობს; მოზრდილ ქმაწვილებს ხშირათ უნდა მიაწოდოთ წყალი პირში და ყელში გამოსავლებათ. როცა ყმაწვილს დიდი სიცხე აქვს და ხურს — საკმლის ნდომა ეკარგება, ჭამა არ უნდა და არც უნდა დააძალოთ; თუ მოითხოვოს საკმელი მაშინ მიეცით დო, რძე, რძის ფლავი, თოხლო კვერცხი, ჩაი ზულკით; ლობიო, კიტრი, პური, სიმინდის მჭადი, წვანილი ძნელი მოსანელებელია და ავთმყოფს არ მიეცემა. წყურვილის მოსაკლავათ ცივი წყალი არ დააღვეინოთ, ჯობს წყურვილის მოსაკლავათ მოდულებული და განელებული ჩაი ან ბინიევის წყალი იხმაროთ. ჩაიში და წყალში კარგი იქნება თუ ცოტა ლიმონის წვეს ან ბროწეულის მაშარაბს გაურევთ.

მარტო ის არა კმარა, რომ ავთმყოფს მოუაროთ და უწამლოთ, უნდა იმაზედაც იფიქროთ, რომ ქუნთრუშა არ გაძლიერდეს და მთელ სოფელს არ მოედვას, ამისათვის საჭიროა ავთმყოფი მოვაშოროთ კარგათ მყოფს, ე. ი. გავხიზნოთ, საავთმყოფოში დავაწვინოთ. იმ ოჯახიდან, საცა ქუნთრუშიანია არც სასწავლებელში და არც ეკკლესიაში არავინ არ წაისვლება, თორემ ქუნთრუშას გაავრცელებენ; იმ ოჯახიდან არ უნდა იარონ მეზობლებში და არც არავინ მეზობელთაგანი უნდა დადიოდეს ქუნთრუშიანის ოჯახში. მეზობლებმა არაფერი არ უნდა ინათხოვრონ და გაიტანონ ავთმ-

საქართველოს
საქართველოს

ყოფიანის ოჯახიდან, არც სასმელ-საქმელი, არც ტანსაცმელი, არც ავეჯეულობა, თორემ ქუთურუშასაც თან გაიყოლიებენ. ერთი სიტყვით მეზობლებმა უნდა სრულიად მოსპონ მიმოსვლა და კავშირი იმ სახლობასთან, საცა ქუთურუშაინია, სულ ცოტა რომ ვთქვათ ორი თვის განმავლობაში მაინც იმ დღიდან, რაც ქუთურუშა გამოაჩნდა მეზობელს. ქუთურუშის შხამი ახლათ მორჩენილის ტანზედაც არის, იმის ტანისამოსშიაც, ქვეშაგებშიაც და ვინც ან რაც არის ოჯახში, ყველაფერს აკრავს ეს შხამი. ამისათვის ახლათ მორჩენილმა ტანი უნდა კარგათ დაიბანოს საბონწყლით, სუფთა საცვალის ჩაიცვას და ისე გამოვიდეს სახლიდან; ქვეშ რომ თივა ან ჩალა ეგო ის უნდა დაიწვას. გამოწვალის საცვალის, საბანი, პირსახოცი, ტანსაცმელი მდულარე წყლით ნაცარ ტუტით და საპნით კარგათ უნდა გაირეცხოს. საწოლი ტახტი, სახლის კედლები, ქერი, იატაკი სუფთათ უნდა გაირეცხოს ნაცარტუტის წყლით. უმჯობესია ექიმს მიმართოთ და იმისაგან შეიტყოთ თუ როგორ ჯობს მოქცევა ან რა საშუალება უფრო ნამდვილია ქუთურუშის შხამის გასაქრობლათ.

თუ რომ ბავშვა თქვენი ქირი წაიღოს და მოკვდეს ქუთურუშისაგან, კარგათ მყოფი ბავშვები სიხლოვეს არ უნდა მიაკაროთ მიცვალებულს: გამოსაღმება, ამბორება მიცვალებულის ძლიერ მავნებელია. ქუთურუშაინის ტანისამოსის გასაჩუქრება ბევრგან იციან, მაგრამ ეს ძლიერ ცუდი ჩვეულებაა—ნაჩუქარ ტანისამოსს თან გაჰყვება ქუთურუშაც და დაერევა სხვის ოჯახს. უსინდისობა და უღმერთობა ასეთი ტანისამოსის გასაჩუქრება ან გაყიდვა; არც იმათი სიხარბეა მოსაწონი და საქებარი, რომლებიც ამ ნაირ ტანისამოსს ხელს გაუწვდიან და ოჯახში შეიტანენ.


ნათარგმნი რუსულიდან მკურნალ ს. ვაწაძის-მიერ.

წერილები რედაქციის მიმართ

I.

ქ-ნო რედაქტორო! „კვალის მე 36 №-ში მოთავსებულია კორესპონდენცია, ს. ხიდისთავზე რომელიც არ არის სიმართლეზე აკებული და სიმართლის აღსადგენათ გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალში“. კორესპონდენტი, ბ. მთ-ნი ბრძანებს: „პირველ სადამოს თუმცა სამეცნიერო არაფერი მიუწოდებიათ (რაც სრულიად მართალია!), მაგრამ კარგათ ჩაიარა“-ო. ერთი ვიკითხოთ: რა აქვს შესდევდობაში ბ-ნი მთ-ნის, როცა ამბობს: „კარგათ ჩაიარა“. ხუ თუ საზოგადოების მარტო სიცილ-ხარხარით

დაკმაყოფილება ნიშნავს კარგათ ჩაიარა? ჩემი (და ვგონებ ეველასი) მიზანი სალიტერატურო სადამოსის ეს არ არის, რომ მხოლოდ ხალხი აცინოს და მეტი არაფერი, ანამედ ის, რომ რაიმე საზოგადოება მოუტანოს საზოგადოებას, მისცეს მას წარმოდგენა იმ საგნებზე და მოვლენებზე, რაც მას არ გაეგება, გაადვილოს მასში თვით-ცნობიერება, ერთი სიტყვით შინ რომ წავა, რამე უნდა მიჭქონდეს და შეიგნოს. პირველ სადამოს არ შეგვიძლია ვუწოდოთ ნამდვილი სადამო, მას შეგვიძლია ვუწოდოთ როგორც ერთ საზოგადოებას. სადაც მხოლოდ სიცილია და მეტი არაფერი!.. მეორე სადამო, შედარებით პირველთან მაღლა იდგა, რადგანაც ამ სადამოში სხვებიც იღებდა მონაწილეობას, სადაც სხვათა შორის წავითხუღ იქმნა ბ. მთსე ნინიძის მიერ წერილი ღვინის სმის შესახებ. კორესპონდენტი ბ. მთ-ნი-ს უნდა შევნიშნო, რომ ამ წერილმა არა თუ „ლეკურსსანი“ ააყაყანა, ანამედ მთელი საზოგადოება შეაყრია და თითქმის სიძულვილიც გამოიწვია რეფერატისადმი, მეტად რე მამინ, როცა რეფერენტმა გადააჭარბა და გამოთქვა: „თითოეული წვეთი ღვინისა შხამია, შხამი და მას ეველა უნდა ერიდებოდეთ!“ რეფერენტს, ბ. მთსე ნინიძეს ის უნდა შევნიშნო, რომ ღვინო შხამათ ჯერ მეცნიერებს არ უცნობა და იმედია არც იცნობს; მას შეეძლო ელანაჩაკა ლოთობაზე, მისი მავნებლობა განემარტა საზოგადოებისათვის, ამასე არც „ლეკურსსანი“ აუყაყანდებდენ და საზოგადოებაც შეითვისებდა მის რეფერატს და აწი კი მართლა სამეცნიერო რეფერატსაც შეიძლება ცუდი თვალით შეხედონ.. მივიჩნის საიდან შეიმუშავა ბ. მთსე ნინიძემ ამგვარი პრინციპი! „მესამე სადამო, — განაგრძობს ბ. კორესპონდენტი, უფრო შესანიშნავი იყო, სადაც გადააჭარბა ჩვენმა საზოგადოებამ. ისეთი შეუმუშავებელი, „მაღალ ფარდებში“ მორისინე რეფერატები წარუდგინეს საზოგადოებას, რომ უმრავლესობას თავბრუ დახვევის მეტი არაფერი გამოუტანია, რამაც გამოიწვია ხალხში მოუსვენრობა და ხმაურობა“-ო. კორესპონდენტის აზრით საზოგადოება მიტამ სხმაურებულა, რომ რეფერატები გაუგებარი და შეუმუშავებელი ყოფილა. მიზეზი სხმაურების და მოუსვენრობისა აი რა იყო: გაიგოთ თუ არა საზოგადოებამ, რომ სადამო უფასოა და წარმოდგენაც იქნება იმდენი ხალხი მოაწვდა, რომ ტევა აღარ იყო (ერთ ადგილას „სკაში-კა“ კი ჩატედა). გარეთ „პარმადში“ აუარებელი ხალხი იდგა და უნდოდით რამე ნაირათ შესულიყვენ შიგ და ეურებოათ. ბევრი, სიცხით შეწუხებული, გარეთ გამოდიოდენ და იგრილებდენ გასურებულ შუბლს. აი ეს განხლდათ მიზეზი არეულობის, ბ. მთ-ნი რაც შეეხება იმას, რომ „შეუმუშავებელი, მაღალ ფარდებში მორისინე რეფერატები წარუდგინეს, სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც საზოგადოება გულ-მოდგინეთ უგ-



დებდა უკრს და ბევრი რამ გამოიტანა (მე, რასაკვირველია უმრავლესობა მუჯის მხედველობაში). ჩვენ, ბ-ნო კორესპონდენტო, მადამ თარღებში მორიხნი რეფერატობათ არ ვთვლით იმ რეფერატებს, რომლებიც ესება და იკვლევს ბუნების სხვა-და-სხვა მოვლენებს.

ვარდენ ვახლისძე კალანდაძე.

ს. ხიდისთავი 8 სექტემბერი.

II.

უმორჩილესათ გონივრთ დაუთმით მცირედი ადგილი თქვენ ზატოვცემულ გაზეთ „კვალში“ ამ შენიშვნას: ამას წინეთ „კვალის“ მე-29 ნომერში მოთავსებული იყო ბ. ვ. კ-ის წერილი, რომელშიაც კისლოვოდსკის და ევლენზნოვოდსკის ამბებს მოგვითხრობს ამ გვარათ: წელს ბევრი მოსამსახურე ქართველობა არის ჩამოსული ამ ორ ზემოხსენებულ სამეურნალო წყლებზე და ევლენ უადგილოთ არის. მართალია, ბევრი ქართველობა იყო ჩამოსული და ვინც ღირსნი იყვენ სამსახურისა იმთვეს ადგილი. აგრეთვე იუწყება ვითომც სსსტუმრო „კურსალის“ მასშინძლები ამ სიტუვებით ისტუმრებენ ადგილის მთხოვრელ მოსამსახურე ქართველებს: „ბრუნის ნე ზრინიშაქი“... ეს რა სათქმელია? ჩვენთან მოვიდენ რამდენიმე მოსამსახურე ქართველები ადგილის სათხოვრათ, მაგრამ გვიან იყო, დაჭერილ ხალხს რომ ვერ გავისტუმრებდით და მათ ალაცს რომ და არ უთმობდით, მიუხედავთ იმისა რომ წელს ცუდი კურსი იყო. მე ჩემი მხრით იმდენას არ ვიდებ ჩემ თავზე, როგორც ჩემ ამხანაგ ბატონ შავგულიძეზე, რომელსაც მიუძღვის დიდი კეთილი საქმეები თავის მოძიების წინაშე. ახლაცა ჭყავს მას ორმეტამდე მარტო ქართველი მოჯამაგირეთ, რომელშიაც ზოგ-ზოგი რამდენიმე წლებითაც არიან და კარგ ჯამაგირსაც იღებენ და დაწინაურებულან სახლითა და კარით თავის საზოგადოებაში; იმას კიდევ შეიდი-რვა კაცი იმისთანაცა ჭყავს, რომლებიც იმასთან მოსულან ხელ-ცარიელები და დღეს კი შავგულიძის შემწეობით კარგი ვაჭრობის და შეძლების ზატონები არიან. ის მოცინა ევლენა ზატონისა და სიმართლის მოყვარე ქართველებისაგან ღირსია მადლობისა და არა საყვედურისა. მაგრამ როდის ეფილია, რომ სიკეთის მოქმედი გაღანძღული არ ეფილიყოს ბევრისაგან, ხოლო, მადლობა ღმერთს, არიან ისეთებიც, რომლებიც კიდევ აფასებენ ასეთ ზირებს და თითქმის თავჯანსაღ სტუმენ მათ.

სტუფანე სიმონისძე ელიაძე.

„კვალის“ ფოსტა

ძიმიტის მამასხლისის. რედაქცია ვერკის ვერ აუწყებს თავის თანამშრომელთა ვინაობას. თუ რამე გაქვთ სავსუნოთ, გამოგზავნეთ და დავბეჭდავთ.

შეცდომის გასწორება

წარული კვირის „კვალში“ (№ 39) 617 გვერდზე დაბეჭდილია: „ბატ. ვან. ნიკოლაძე“, ამის ნაცვლად უნდა იყოს: „ბატ. ვან. ნიკ. ლოლაძე“.

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისი თანადანწრებით 1900 წელს 6 ოქტომბერს შუა დღის 12 საათზე დანიშნულია ვაჭრობა იჯარით განსცემათ მდ. მტკვრის (მუხრანის ქუჩიდან რიყესე განსვლელი) ზარობისა. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლია ეოველნაირი ზირობების გამინჯვა ქალაქის სამმართველოს მეოთხე განყოფილებაში დღის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ეოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა.

(3-2)

გამოვიდა და იხილება

ახალი წიგნი

„ქართული პრესა“

წერილები ნოე ურდანიასი გამ. ამხან. „შრომის“. ფასი 25 კაპ.

სკოლა და კანსიონი

ა. ა. მამულაიძე ილიისა

ამხანდებს ეძაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამხანდებელ და ზირველ კლასებისათვის. ადრესი: ოლღას ქუჩა (Ольгинская), სახლი დრობიშვილისა № 13, ზემელოს აფთექის მახლობლათ.

(4-4)

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.